# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 2014 წელი.

№160-161 (7542)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# როგორ ჭამდნენ, ხრავდნენ, იმონებდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს გაუმაძღარი, ნაძირალა ნაცები!




## SOS!

## პროკურატურა მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას 8 837 461 ლარის გაფლანგვას ედავება

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსისთვის ბრალის წარდგენასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა:

„საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ, დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვის ფაქტზე, გამოტანილი იქნა დადგენილებები საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ყოფილი უფროსის თეიმურაზ ჯანაშიას ბრალდებულის სახით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

საქმე ეხება სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარის გაფლანგვის ფაქტს. გამოძიებით დადგენილია შემდეგი: 2009 წლის თებერვალში, მიხეილ სააკაშვილის მიერ საქართველოში მოწვეული იქნა მასაჟისტი დოროთი შტეინი, ე.წ. „დოქტორ დოტი“, რომელმაც მიხეილ სააკაშვილს გაუწია შესაბამისი მომსახურება. ამის შემდეგ, დოქტორ დოტის მიერ საქართველოში სტუმრობის ამსახველი ვიდეომასალა განთავსებულ იქნა ინტერნეტ სივრცეში, რის შემდეგაც მისი საქართველოში ვიზიტის და პრეზიდენტისთვის გაწეული მომსახურების შესახებ ცნობილი გახდა საზოგადოებისთვის. აღსანიშნავია, რომ მასაჟისტი დოროთი შტეინის საქართველოში შემოყვანისას და ქვეყნის დატოვებისას მისი მხრიდან საქართველოს საზღვრის კვეთის ფაქტი არ დაფიქსირებულა.

სამომავლოდ პრეზიდენტის ხარჯების შესახებ მსგავსი ინფორმაციის საზოგადოებაში გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, 2009 წლის აპრილში, მიხეილ სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, მისი პირადი მიზნებისათვის საჭირო თანხების გასაიდუმლოებული ფორმით ხარჯვის თაობაზე. მაშინ, როდესაც მანამდე პრეზიდენტის ხარჯები იყო საჯარო და იგი ფინანსდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ „სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს“ სახსრებით. აღნიშნულიდან გამომდინარე მიხეილ სააკაშვილი ბიუჯეტიდან საჭირო თანხების მობილიზებას მოახდენდა მის უშუალო დაქვემდებარებაში მყოფ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში, საიდანაც საიდუმლო რეჟიმში განხორციელდებოდა მიხეილ სააკაშვილის პირადი მიზნებისთვის განკუთვნილი ხარჯების დაფინანსება.

დანაშაულებრივი გეგმის განხორციელება დაევალა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელს თეიმურაზ ჯანაშიას.

იხ. 2 გვ.

## გოგა ხაინდრავა:

## ვინ არის საზღვარგარეთ საქართველოში ნაძარცვი ფულის მთავარი გამნაწილებელი?

③






## გურამ მირგველიანი:

## დიახ, სანდროს მკვლელობის დამკვეთი იყო თაკო სალაყაია!

④

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

# როგორ ჭამდნენ, ხრავდნენ, იმონებდნენ ქართველ ხალხს და საქართველოს გაუმაძღარი, ნაძირალა ნაცები!

(პირველი გვერდიდან)

**თეიმურაზ ჯანაშიას მეშვეობით, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დარღვევით, მიხეილ სააკაშვილის მიერ პირადი მიზნებისათვის ბიუჯეტის კუთვნილი თანხების ხარჯვა შეინიღბა როგორც ფარული ხარჯები. ამ მიზნით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „საიდუმლო“ განკარგულებებით, პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურისათვის გამოყოფილ იქნა ჯამში 5 952 500 ლარი. ასევე, მიხეილ სააკაშვილის გრიფით „საიდუმლო“ განკარგულებებით სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს უკანონოდ დაევალა საქართველოს პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების, ასევე მათი სტუმრების, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მგზავრობისა და ცხოვრების, კოსმეტიკური პროცედურების, კვების, სწავლის, საჩუქრებისა და სუვენირების შეძენის, საყოფაცხოვრებო და სხვა ხარჯების დაფინანსება.**




2009-2013 წლებში, მიხეილ სააკაშვილის დავალებით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მიერ, საიდუმლო ფორმით ხდებოდა პრეზიდენტის ისეთი სახის ხარჯების ანაზღაურება, რომელთა დაფინანსებაც კანონიერად ვერ მოხერხდებოდა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ. თანხების ჩამოწერას გრიფით „საიდუმლო“ პატაკებით ახორციელებდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ეკონომიკური დეპარტამენტი. ხსენებულ პატაკებს გრიფი „საიდუმლო“ ენიჭებოდა „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის“ მოთხოვნათა დარღვევით, ვინაიდან არცერთი ზემოაღნიშნული პატაკი და მასზე თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შეიცავდა სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციას.

მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისთვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი. კერძოდ: სასტუმროს მომსახურებისათვის გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 2 074 611 ლარი, სამგზავრო ბილეთების შესაძენად — 916 017 ლარი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიხეილ სააკაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და სხვა პირების კვებით მომსახურებაზე — 1 403 966 ლარი, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტით მომსახურებაზე — 2 280 196 ლარი, კოსმეტიკური პროცედურებისთვის — 673 260 ლარი, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის — 273 971 ლარი, ტანსაცმლის შესაძენად — 115 171.14 ლარი, საჩუქრებისა და სუვენირების შესაძენად — 237 354 ლარი, სხვადასხვა ხარჯების ასანაზღაურებლად — 576 508 ლარი.

თვალსაჩინოებისათვის გვსურს წარმოგიდგინოთ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაწეული ხარჯების ნაწილი უფრო დეტალურად:

მიხეილ სააკაშვილისათვის დაქირავებული ესპანელი მზარეულის სერქიო ქალდერონ ლატასას შრომის ანაზღაურებისათვის, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის, მზარეულის თარჯიმნის შრომის ანაზღაურებისათვის და მზარეულის ესპანეთში მგზავრობისათვის გახარჯულია - 191 643 ლარი; მიხეილ სააკაშვილის სტილისტის ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 75 181 ლარი; გიორგი უგულავას სასტუმროს მომსახურებასა და სამკურნალო-გასახდომი პროცედურებისათვის ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის გამაჯანსაღებელ ცენტრში გადახდილია 26 388 ლარი, კობა ნაყოფიას, გოგა ხაჩიძის, ნუგზარ წიკლაურის, გიორგი გაბაშვილის, სერგო რატიანის, პეტრე ცისკარიშვილის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი არველაძის საზღვარგარეთ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილია 88 919 ლარი; მარიამ საჯაიას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ქ. ბათუმში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 342 ლარი; ალანა გაგლოევას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 401 ლარი; კრისტინა და ნატალია უსოვების სასტუმრო მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 15 873 ლარი; ვერა ქობალიას მშობლების, ასევე მისი დის ნინა ქობალიას სამგზავრო ბილეთების შესაძენად - 38 247 ლარი; მიხეილ სააკაშვილისათვის ავიალაინერის დაქირავებისათვის გადახდილია 503 383 ლარი; მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი უგულავასათვის ავსტრიაში „პორშეს“, „მერსედესისა“ და „აუდის“ მარკების ავტომანქანების დაქირავებისათვის გადახდილი იქნა 58 876 ლარი; იტალიაში, ქ. ვერონაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას ლიმუზინისა და მინივენის დაქირავებისათვის გადახდილია 45 214 ლარი; პერუში ვერტმფრენის დაქირავებისათვის გადახდილია 33 204 ლარი; საზღვარგარეთის ქვეყნებში მიხეილ სააკაშვილისათვის ველოსიპედების დაქირავებისათვის გადახდილია 35 350 ლარი; იტალიაში, ქალაქ პიზაში იახტის დაქირავებისათვის გადახდილია 25 237 ლარი; მიხეილ სააკაშვილისათვის დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკისა და ერთი ქაშმირის სპორტული პალტოს შესაძენად გადახდილია 49 499 ლარი და ხელით ნაკეთი 2 კოსტიუმის შესაძენად — 7 994,84 ლარი; აშშ-ში, ინგლისსა და საქართველოში ათი ერთეული მაჯის საათის შესაძენად გადახდილია ჯამში 53 283 ლარი; ქ. ლონდონში მკერდით მხატვრის მერედიტ ოსტრომის მიერ შესრულებული ნახატის შესაძენად გადახდილია 15 989 ლარი; ასევე, ტაილანდის კურორტ ფხუკეთში, მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქარაძის, ლევან ვარშალომიძის სასტუმროს, ავტომობილის მომსახურების, კვების და ავიაბილეთების ხარჯებმა ორ დღეში შეადგინა 127 858 ლარი და სხვა.

ასევე ხაზი გვინდა, გავუსვათ, რომ აღნიშნული საიდუმლო თანხების ხარჯვის პარალელურად, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბიუჯეტებიდან პრეზიდენტის წარმომადგენლობითი ხარჯებისათვის 2009 წელს დაიხარჯა 6 213 015 ლარი, 2010 წელს - 3 340 728 ლარი, 2011 წელს — 4 654 100 ლარი და 2012 წელს — 5 809 808 ლარი, სულ 20 007 651 ლარი, რომელთა ხარჯვის კანონიერების საკითხსაც გამოძიება დამატებით შეისწავლის.



ამრიგად, მიხეილ სააკაშვილის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით გაფლანგულ იქნა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი.

მიხეილ სააკაშვილის და თეიმურაზ ჯანაშიას მიმართ გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით“.

## სახელმწიფო თანხებით სააკაშვილმა შვიდი პიჯაკი და ერთი ქაშმირის სპორტული პალტო იყიდა

საქართველოს მთავარი პროკურატურა იმ მონაცემებს აქვეყნებს, რაშიც მიხეილ სააკაშვილისთვის და მისი გარემოცვისთვის სახელმწიფოს კუთვნილი 8 837 461 ლარი დაიხარჯა. საგამოძიებო უწყების ინფორმაციით, ეს თანხა 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის პერიდში, ყოფილი პრეზიდენტისა და სდსს-ს ხელმძღვანელს შორის არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების საფუძველზე გაიფლანგა.

უფრო კონკრეტულად: სასტუმროს მომსახურებისათვის გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 2 074 611 ლარი, სამგზავრო ბილეთების შესაძენად — 916 017 ლარი, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიხეილ სააკაშვილის, მისი ოჯახის წევრებისა და სხვა პირების კვებით მომსახურებაზე — 1 403 966 ლარი, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ტრანსპორტით მომსახურებაზე — 2 280 196 ლარი, კოსმეტიკური პროცედურებისთვის — 673 260 ლარი, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის — 273 971 ლარი, ტანსაცმლის შესაძენად — 115 171.14 ლარი, საჩუქრებისა და სუვენირების შესაძენად — 237 354 ლარი, სხვადასხვა ხარჯების ასანაზღაურებლად — 576 508 ლარი.

მიხეილ სააკაშვილისათვის დაქირავებული ესპანელი მზარეულის სერქიო ქალდერონ ლატასას შრომის ანაზღაურებისათვის, საცხოვრებელი ფართის დაქირავებისათვის, მზარეულის თარჯიმნის შრომის ანაზღაურებისათვის და მზარეულის ესპანეთში მგზავრობისათვის გახარჯულია — 191 643 ლარი; მიხეილ სააკაშვილის სტილისტის ალი კამალის სასტუმროს მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 75 181 ლარი; გიორგი უგულავას სასტუმროს მომსახურებასა და სამკურნალო-გასახდომი პროცედურებისათვის ავსტრიის ქალაქ ინსბრუკის გამაჯანსაღებელ ცენტრში გადახდილია 26 388 ლარი, კობა ნაყოფიას, გოგა ხაჩიძის, ნუგზარ წიკლაურის, გიორგი გაბაშვილის, სერგო რატიანის, პეტრე ცისკარიშვილის, ლევან ვარშალომიძის, გიორგი არველაძის საზღვარგარეთ სასტუმროების მომსახურებაში გადახდილია 88 919 ლარი; მარიამ საჯაიას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებსა და ქ. ბათუმში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 342 ლარი; ალანა გაგლოევას არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში სასტუმრო მომსახურებაში გადახდილია 6 401 ლარი; კრისტინა და ნატალია უსოვების სასტუმრო მომსახურებასა და სამგზავრო ბილეთებში გადახდილია 15 873 ლარი; ვერა ქობალიას მშობლების, ასევე მისი დის ნინა ქობალიას სამგზავრო ბილეთების შესაძენად — 38 247 ლარი; მიხეილ სააკაშვილისათვის ავიალაინერის დაქირავებისათვის გადახდილია 503 383 ლარი; მიხეილ სააკაშვილისა და გიორგი უგულავასათვის ავსტრიაში „პორშეს“, „მერსედესისა“ და „აუდის“ მარკების ავტომანქანების დაქირავებისათვის გადახდილი იქნა 58 876 ლარი; იტალიაში, ქ. ვერონაში მიხეილ სააკაშვილის ვიზიტისას ლიმუზინისა და მინივენის დაქირავებისათვის გადახდილია 45 214 ლარი; პერუში ვერტმფრენის დაქირავებისათვის გადახდილია 33 204 ლარი; საზღვარგარეთის ქვეყნებში მიხეილ სააკაშვილისათვის ველოსიპედების დაქირავებისათვის გადახდილია 35 350 ლარი; იტალიაში, ქალაქ პიზაში იახტის დაქირავებისათვის გადახდილია 25 237 ლარი; მიხეილ სააკაშვილისათვის დიდ ბრიტანეთში 7 პიჯაკისა და ერთი ქაშმირის სპორტული პალტოს შესაძენად გადახდილია 49 499 ლარი და ხელით ნაკეთი 2 კოსტიუმის შესაძენად — 7 994,84 ლარი; აშშ-ში, ინგლისსა და საქართველოში ათი ერთეული მაჯის საათის შესაძენად გადახდილია ჯამში 53 283 ლარი; ქ. ლონდონში მკერდით მხატვრის მერედიტ ოსტრომის მიერ შესრულებული ნახატის შესაძენად გადახდილია 15 989 ლარი; ასევე, ტაილანდის კურორტ ფხუკეთში, მიხეილ სააკაშვილის, დავით ბაქარაძის, ლევან ვარშალომიძის სასტუმროს, ავტომობილის მომსახურების, კვების და ავიაბილეთების ხარჯებმა ორ დღეში შეადგინა 127 858 ლარი და სხვა.

ასევე, პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და სსიპ საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფის სააგენტოს ბიუჯეტებიდან პრეზიდენტის წარმომადგენლობითი ხარჯვებისათვის 2009 წელს დაიხარჯა 6 213 015 ლარი, 2010 წელს — 3 340 728 ლარი, 2011 წელს — 4 654 100 ლარი და 2012 წელს — 5 809 808 ლარი, სულ 20 007 651 ლარი, რომელთა ხარჯვის კანონიერების საკითხსაც გამოძიება დამატებით შეისწავლის.



◎ რა მოუქაფავთ ბიჭებს!

# ნაცპარტიის ხსენებაც კი უნდა აიკრძალოს!!!

**ექსპრეზიდენტ სააკაშვილის მიერ გახარჯული მილიონების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროებას ინტერნეტსივრცეში საინტერესო კომენტარები მოჰყვა. ოფიციალურად დადასტურდა ის, რის შესახებაც საზოგადოებამ დიდი ხანია იცოდა, მოარული ხმები და ეჭვები ყოველთვის არსებობდა. თუმცა, ვინაიდან ამ ამაზრზენი ინფორმაციისა და ციფრების შემცველ დოკუმენტს გრიფი „საიდუმლო" ჰქონდა, ბუნებრივია, ფაქტებს დამაჯერებლობა ყოველთვის აკლდა ხოლმე. ოპტიმისტები მაშინ ვარაუდობდნენ, რომ ასე მარტივად ვერ მოხდებოდა ბიუჯეტის თანხების განუსაზღვრელი და უკონტროლო ხარჯვა, და „ვარდოსნები" რაღაც კანონიერების ჩარჩოებში ჩაეტეოდნენ, თუნდაც უსუსური იურიდიული არგუმენტების მოშველიებით, მაგრამ ესეც კი არ მოხდა...**

აღვირახსნილი თავაშვებულობისა და დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის გამო მიხეილ სააკაშვილს 7-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. აღმოჩნდა, რომ სააკაშვილსა და მის თანამზრახველებს არ ეშინოდათ კანონის, არ აღელვებდათ არავითარი ვალდებულება, არ გააჩნდათ ელემენტარული ნამუსი...

ასე იქცეოდა დავით აღმაშენებელი?!

როცა მიხეილ სააკაშვილი დავით მეფის საფლავზე პრეზიდენტის ფიცს დებდა, ალბათ, მაშინ თავადაც ვერ წარმოიდგენდა, რომ არათუ „აღმშენებლის", არამედ ბიუჯეტისთვის წაღლეტილი ფულით ნაყიდი „ქიშმირის პალტოს" სამარცხვინო იარლიყით შევიდოდა საქართველოს ისტორიაში.

ჩვენ კარგად გვახსოვს მისი სხვა მანკიერებანი: მილანური „შოპინგები", „სუშის" უზომო სიყვარული, რომანტიკული თავგადასავლები, ტრანკვილიზატორით გაბრუებული პრეზიდენტი, ამერიკაში გაკეთებული ბოტოქსიანი ღაწვები და ა. შ.

**გუშინ** დღის პირველ ნახევარში, ნაციონალების ერთგული ინტერნეტმომხმარებლები დუმდნენ. ერთადერთი, რაც მოაგონდათ, ახალი ხელისუფლების გაფლანგული პრემიები იყო... საღამოს კი ისევ, უტიფრად, გაღმა შედავება დაიწყეს...

აი, კომენტარები:

**ირმა ინაშვილი: (ჟურნალისტი):** გამოითქვა მოსაზრება, რომ თითქოს სააკაშვილს მხოლოდ ამ 8 მილიონისთვის უშვებენ ციხეში. 8 მილიონის თემა მხოლოდ ერთი და, ჩემი აზრით, ყველაზე უწყინარი ეპიზოდია, რაც მის ბრალს ამძიმებს. სააკაშვილთან მიმართებაში ძიება მიდის ჟვანიას მკვლელობაზე, გირგვლიანის მკვლელობაზე, აგვისტოს ომზე, 26 მაისზე, 7 ნოემბერზე... კიდევ გავაგრძელოთ? მთლიანობაში ამ „ქეისის" ობიექტს უვადო პატიმრობის პერსპექტივა აქვს და რომ გითხრათ, — გული მტკივა-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. გული ასობით (უდანაშაულოდ) მოკლულ ბიჭზე მტკივა, გაუპატიურებულ თაობაზე, გაჩანაგებულ ქვეყანაზე და ჩაბარებულ მიწებზე...

8 მილიონი ბიუჯეტიდან, — მხოლოდ პირადი სიამოვნებისა და კომფორტისათვის... გახდომა, ქაშმირის პალტო, ვერტმფრენი პერუში მგზავრობისთვის, მასაჟი... არა, არაფერი დაგიშავებიათ ნაციონალებს, უბრალოდ, მკვლელები და ხამები( უნახავები) ხართ, ვირთხები!

**თემურ შაშიაშვილი (პოლიტიკოსი):** „ვარდების რევოლუცია" — საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბნელი მოვლენა — დააფინანსეს ბადრი პატარკაციშილმა , ბიძინა ივანიშვილმა და ტარიელ ონიანმა! „ვარდების რევოლუციის" მეორე დღეს ტარიელ ონიანი ჩამოვიდა საქართველოში და კანონიერი ქურდის — ხაჩიძის აგარაკზე მოხდა ოთხეულის შეხვედრა — სააკაშვილი, ტარიელ ონიანი, თემურ ალასანია და ემზარ კვიციანი! ამ შეხვედრის შესახებ ინფორმაცია ნინო ბურჯანაძემაც დამიდასტურა".

**გიორგი უძილაური (ჟურნალისტი):** „სააკაშვილის მასაჟისტის თემაც წამოიწია, მიშა მასაჟებს სახელმწიფოს ხარჯზე იკეთებდა. მასაჟის გარდა იყო საჩუქრები „ნაშებისთვის", დასვენებისთვის, გართობისთვის, პრეზიდენტის შვილის უცხოეთში სწავლისთვის... მოკლედ 9 მილიონამდე ლარი გაიფლანგა"

**გია გაბრიჭიძე (ჟურნალისტი):** „ხალხის ხარჯზე ზოგს ქობალიას ბარკალი უყვარს, ზოგს ბატკნისა. ნეტა, რომელი ჯობია, ჰაა?

მითხარით, სამი განსხვავება ნაცების „უპრაგონოდ" გახარჯული თანხებისა და ქოცების „პროგონიანად" გაცემულ პრემიებს, უჰ, უკაცრავად — სახელფასო დანამატებს შორის. და ქონდარში ჩამარინადებულ ბატკნის ბარკლებს საერთოდ აღარ შევჭამ".

**ხათუნა ცერცვაძე:** „ხალხი ნაგავში ეძებდა საკვებს და პრეზიდენტი მასაჟებში 8 მილიონს ხარჯავდა.. საინტერესოა, „მიშა კიდევ მაგარია", მადლობა უფალს, რომ გადავრჩით ამ შიზოიდის ხელში...

აბა უსუსურია პროკურატურაო? — ვერ მიდიან სუსურ-სუსურით მატროსოვზე? ვერ უთვლის პროკურატურა კაპიკ-კაპიკ, რაც ამ ვირთხებმა საქართველოს მშიერი ხალხის ბელლიდან მოიპარეს"?

**დროა, ახალი ხელისუფლებაც გონს მოეგოს!**

**ალექსანდრე ბეგიაშვილი:** „ნულოვანი ტოლერანტობა ნაძირალა მიხეილ სააკაშვილს და მის მიერ შექმნილ ნაძირალა „ფსევდონაციონალურ მოძრაობას". ყველანი ციხეში!"

**ვერიკო თაბუკაშვილი:** რა მოუქაფავთ ბიჭებს?!

**მანანა ცუცქირიძე:** „ეს ყველაფერი თითოეული ჩვენგანის ნაშრომია და ნაწვალები. გაზის, დენის და წყლის გადასახადებით შესული თანხებია ბიუჯეტში, როდესაც ხალხი კაპიკებს ანაწილებდა იმისთვის, რომ თვიდან თვემდე თავი როგორმე გაეტანათ, რომ კომუნალურები გადაეხადათ და მთავრობის წევრებს მასაჟები, წინ და უკან სირბილი და გართობები არ მოეკლოთ ჩვენს ხარჯზე, კიდევ პრეტენზიები გაქვთ და თანაც სახალხოდ? ესენი ყველა კანონით დაისჯებიან. მათ დამცველებს კი ღმერთი უყურებს ზემოდან. გეშინოდეთ და იცით რატომ, ის დღეები გელოდებათ ყველას, ვინც ნაციონალებს ასე სახალხოდ დაიცავთ, რა დღეებიც უმეტესობამ შიმშილში და წვალებაში გამოვიარეთ"

**მერაბ მეტრეველი (ჟურნალისტი):** „ყველაზე მაგარი მაინც მიშას და გიგის მიერ „პორშეს" და „აუდის" დაქირავება იყო. გონკაობდნენ ავსტრიაში? მკერდით მხატვარზე მეცინება"...

**ნინო ელიზბარაშვილი:** „გამოვთვალე და რვა წელი უნდა ვიმუშაო იმ თანხის ასაღებად, რაც მათი ველოების დაქირავება დაჯდა.

მოვითხოვ !!! გამოაქვეყნონ, რას ყიდულობენ და სად ხარჯავენ დღევანდელი მთავრობის ბიუჯეტჭამია ვირთხები გაჭირვებული ხალხის ფულებს და ყველას მიუსაჯონ 11 წელი მიშასთან ერთად... სამართლიანობა მოითხოვს"...

**გელო ალავერდაშვილი:** „საქართველოში ხალხი იღუპება უწამლოდ, უექიმოდ, უბინაოდ... არ უნდა აპატიოს ქართველმა ხალხმა ამდენი დაცინვა. ამიტომ ნაცპარტიის ხსენებაც კი უნდა აიკრძალოს!"

**ლიზი სარჯველაძე:** „ის დროა, მარგველაშვილმაც თავს უშველოს, თორემ საპირფარეშოს ხარჯებსაც უანგარიშებენ, არათუ მოგზაურობის ხარჯებს (თუ, რა თქმა უნდა, სადმე გაუშვეს, თუნდაც, როგორც სახე)... დროა, ახალი ხელისუფლებაც გონს მოეგოს!!!

**მალხაზ ლონდარიძე:** „სააკაშვილმა გენოციდი მოუწყო ერს. საქმე კეთდება კანონის დაცვით, ის უნდა დაისაჯოს".

**ნია ფიფია**

◎ ფარდაახდილი საიდუმლო

# ვინ არის საზღვარგარეთ საქართველოში ნაძარცვი ფულის მთავარი გამნაწილებელი?



## გოგა ხაინდრავა კარლ ბილდტის კორუფციულ სქემაზე, სანდრო გირგვლიანის მკვლელობაზე და თაკო სალაყაიას დანაშაულზე

**კინორეჟისორმა გოგა ხაინდრავამ „რეპორტიორთან" ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურად აქტუალურ პროცესებზე ისაუბრა. განსაკუთრებული ყურადღება რესპონდენტმა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრ კარლ ბილდტისა და ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის კორუფციულ ურთიერთობაზე გაამახვილა.**

— ორ თემაზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ერთმანეთთან არის გადაბმული, ამბობს იგი. — პირველი თემა ეხება კორუფციას ევროკავშირის სტრუქტურებში და ამის ერთ-ერთ მთავარ ფიგურანტს კარლ



ბილდტს. ამა წლის მარტში მქონდა პრესკონფრენცია, სადაც კარლ ბილდტზე ძალზე საინტერესო მასალები გამოვაქვეყნე. ჩემმა ძიებამ, პრაქტიკულად, ჟურნალისტური გამოძიების სახე მიიღო და მინდა, გითხრათ, რომ ძალიან მალე დავდებ საბუთებს, სადაც კარლ ბილდტი პირდაპირ იქნება მხილებული. ის არის ძირითადი კორუფციონერი, რომელიც კუდით სააკაშვილის ხელისუფლებასთანაა გადაბმული. ეს პიროვნება არის მთავარი გამნაწილებელი საქართველოში ნაძარცვი ფულის, რომლითაც სააკაშვილი ყიდულობს საერთაშორისო სტრუქტურებში ე.წ. ლობისტებს. ეს არის ქრთამი და საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

საქართველო ყოველთვის იყო, არის და იქნება ევროპული ქვეყანა, მაგრამ უნდა ვიცოდეთ, სად ვდგამთ ფეხს, ვისთან გვექნება ურთიერთობა. ამა წლის თებერვალში ევროკავშირის კომისიამ გამოაქვეყნა ანტიკორუფციული რაპორტი , სადაც საუბარი იყო იმ კოლოსალური მასშტაბების კორუფციაზე, რომელიც არის ევროკავშირის სტრუქტურებში. ეს არც არის გასაკვირი, რადგან ევროკავშირის სტრუქტურებს გამკონტროლებელი არავინ ჰყავს.

კარლ ბილდტი იყო კომპანია „კრიაბის" გენერალური დირექტორი, კომპანიის, რომელიც პირადად სააკაშვილს ლობირებდა. აქ ლაპარაკი იყო არა საქართველოს როგორც ქვეყნის ლობირებაზე, არამედ კონკრეტულად „ნაციონალურ მოძრაობაზე" და მიხეილ სააკაშვილზე.

გარდა ამისა, შვედური გაზეთის შეკითხვას, აქვს თუ არა მიხეილ სააკაშვილთან და მის პარტიასთან რაიმე ფინასური ურთიერთობები, კარლ ბილდტმა უპასუხა, რომ არა. თუმცა, მისი კომპანიის პიარის ხელმძღვანელმა ბრიუსელში პირდაპირ თქვა, რომ წლების განმავლობაში ემსახურებოდნენ სააკაშვილს და ნაციონალური მოძრაობას ლობირების მიზნით. ეს ურთიერთობა გრძელდება დღემდე.

კარლ ბილდტი არის შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იმ ქვეყნის მინისტრი, რომელსაც პრაქტიკულად არანაირი მნიშვნელოვანი პარტნიორული ურთიერთობა არ აქვს საქართველოსთან. ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში 11-ჯერ იყო ჩამოსული. არაერთხელ პირადად სტუმრობდა მიხეილ სააკაშვილს. ეტყობა, საქართველო ძალიან უყვარს, და არა მარტო საქართველო, აქედან წამოღებული კორუფციული ფული, რომლითაც სააკაშვილი დღესაც ანტისახელმწიფოებრივ კამპანიას ეწევა საზღვარგარეთ. ის, რასაც მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა აკეთებს, არის ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და ამაში პირდაპირ არის ჩართული კარლ ბიდლტი და, სამწუხაროდ, სხვებიც.

ის, რაც საქართველოში ხდება, არ არის ირაკლი ღარიბაშვილის და, მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის ან კონკრეტული პრო-



კურორის მოთხოვნა. ეს არის ქართველი ხალხის მიერ სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნა. ეს არის ის წინაპირობა, რის გამოც ქართველმა ხალხმა სამჯერ აირჩია „ქართული ოცნება". პირველი და ძირითადი მოთხოვნა ქართველი ხალხის არის არა საჭმელ-სასმელი, არამედ სწორედ სამართლიანობის აღდგენა.

გაეროს მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში გვთხოვენ ზუსტად იმ საქმეების გამოძიებას, თანაც ძალიან სწრაფად, რომელიც ჩადენილი აქვს სააკაშვილს, მერაბიშვილს ადეიშვილს და.ა.შ.

იხ. 4 გვ.

◎ ფარდაახდილი საიდუმლო

# ვინ არის საზღვარგარეთ საქართველოში ნაქარცვი ფულის მთავარი გამანაწილებელი?

(მესამე გვერდიდან) დაახლოებით თვენახევარში ამომწურავი ინფორმაცია მექნება, თუ როგორ ღებულობდა, კორუფციულ ფულს კარლ ბილდტი და როგორ ანაწილებდა ევროპაში სხვადასხვა ლობისტურ ორგანიზაციებში. ერთადერთი ფიგურა, რომელზეც წუხს კარლ ბილდტი და მისი კომპანია ეს არის მიხეილ სააკაშვილი და მისი უახლოესი გარემოცვა, რომელიც ასევე დადანაშაულებულია მძიმე კრიმინალურ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში.

**— კუდ-ის ყოფილმა უფროსმა ერეკლე კოდუამ განაცხადა, რომ ბადრი პატარკაციშვილმა თქვენი ლიკვიდაცია დაავალა. რამდენად სარწმუნოა ეს თქვენთვის?**



— ერეკლე კოდუას გამოსვლამ, შემდეგ შოთა უტიაშვილის და გიორგი თარგამაძის გამოსვლებმა ერთმნიშვნელოვნად დახატა სურათი, რომ მათ ჩემი ლიკვიდაცია ჰქონდათ ჩაფიქრებული და უნდოდათ, ეს ბადრი პატარკაციშვილს დაბრალებოდა.

ეს იყო კარგად ჩაფიქრებული გეგმა. კოდუას ე.წ. ალიარება, რომ თურმე ბადრი პატარკაციშვილი ჩემს ლიკვიდაციას გეგმავდა, სხვა არაფერია, თუ არა იძულება სააკაშვილის მხრიდან. კოდუა თაგვივით იყო დამალული უნგრეთში. არც ფული აკლდა არც არაფერი. მას ისე უნდოდა განცხადების გაკეთება და საჯაროდ გამოსვლა, როგორც მე ჩრდილოყინულოვან ოკეანეში ცურვა. ეს იყო დაძალება სააკაშვილის და ბოკერიას მხრიდან.



თუ კოდუას ასეთი ინფორმაცია ჰქონდა, მას შეეძლო, ეს მოეწოდებინა შვიდი წლის წინათ. მისი ძმა ჩემთან მუშაობდა და მის ოჯახსაც ვიცნობდი. უამრავი ადამიანი იყო ჩვენს შორის, რომ ჩემთვის ეს ინფორმაცია გადმოეცა.

ის, რომ ჩემი ლიკვიდაციის გეგმა რეალური იყო, დაადასტურა შოთა უტიაშვილმაც სატელევიზიო გამოსვლაში. მან განაცხადა, რომ, თურმე, ვანო მერაბიშვილმა 2007 წელს დამირეკა და შემომთავაზა დაცვა, რაზეც უარი ვუთხარი. ეს არის სრული აბსურდი. ჩემი ლიკვიდაცია მერაბიშვილს, სააკაშვილს, უტიაშვილს და ბოკერიას ჰქონდათ გადაწყვეტილი და ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ ბადრის დაბრალებოდა. ამის პრეცენდენტი ჩემ ფილმშია, სადაც სატელეფონო საუბრები მაქვს ასახული. პირველი „მასტერასი“ და უვაის ახმადოვის, ჩეჩენი საველე მეთაურის, სადაც „მასტერა“ უკვეთავს ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას და იქვე ამატებს, ეს ისე უნდა მოხდეს, ყველამ იფიქროს, რომ რუსების გაკეთებულიაო. რაც შეეხება მეორე საუბარს, უვაის ახმადოვი ჩეჩნეთის დროშის ფონზე ზის და ყვება, რომ მას შეუკვეთეს ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა. ზუსტად ასახელებს ვინ როგორ და რანაირად. მოტივსაც იძახის, რატომ გააკეთა ეს. მესამე ეს არის ცნობილი კანონიერი ქურდის მამარდაშვილის საუბარი „მასტერასთან“ როდესაც ის ციხეში ურეკავს და ეუბნება, ხომ არ აქვს რამე პატარკაციშვილის წინააღმდეგ, ჩვენ თუ მაგას არ გავანდგურებთ იმას გვიზამს და ამას გვიზამსო. ეს სამივე ჩანაწერი არის ჩემს ფილმში, რაც ცხადად ადასტურებს, რა მეთოდებს ხმარობდნენ. ამას დავუმატოთ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაც, რომელმაც არაერთხელ დაადასტურა, რომ მიხეილ სააკაშვილმა პირადად მას შეუკვეთა ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობა და ისიც კი მიუთითა, როგორ უნდა მომხდარიყო ეს მკვლელობა. ეს არის ოქრუაშვილის ოფიციალური განცხადება, რომელიც ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში საკმარისი იქნებოდა გამოძიების დასაწყებად. იმედი მაქვს, რომ ეს გამოძიება მიდის.

ვფიქრობ, საქართველოს პროკურატურამ აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება ბილდტის და სააკაშვილის ურთიერთობას. ეს არის კრიმინალური ურთიერთობები, რომელიც დაფუძნებულია საქართველოში ნაყაჩაღარ ფულზე. ამას დავადასტურებ. ძალიან მალე დავდებ ჟურნალისტურ გამოძიებას.

**— გუშინ შსს-ს ყოფილმა მაღალჩინოსანმა ოლეგ მელნიკოვმა ჩვენება მისცა, რომლითაც მან სანდრო გირგვლიანის საქმეში თავისი ბრალეულობა დაადასტურა. როგორ შეაფასებდით მის აღიარებით ჩვენებას?**

— ვფიქრობ, ეს არის ბომბი. თუმცა ის, რასაც ლაპარაკობს, ერთი-ერთში გვაქვს რამდენიმე წლის წინათ ნალაპარაკევი პრესკონფერენციებზე, ცალკეულ წერილებში და სხვადასხვა გადაცემებში. ეს იყო შეთქმულება ქართველი ხალხის წინააღმდეგ, სანდრო გირგვლიანი იყო ამ საზოგადოების წევრი. გაკეთდა ყველაფერი, რომ ეს საზარელი დანაშაული დაბრალებოდა ჯერ სხვებს და მერე მიჩქმალულიყო. ის, რომ ამას წყვეტდნენ სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და ახალაია ეს თავიდანვე იყო ნათელი.

**სანდრო გირგვლიანის მკვლელობის უშუალო შემკვეთი არის თაკო სალაყაია! უშუალო შემსრულებელი და მბრძანებელი კი — დათა ახალაია!**



საინტერესო იყო ასევე სასამართლოზე მთავარი მოწმის ჩვენება, რომელმაც პირდაპირ ხელი დაადო მელნიკოვს და თქვა, რომ მეხუთე კაცი იყო მელნიკოვი.

მელნიკოვმა ყველა ჩადენილი დანაშაული აღიარა. ველოდები, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმეზეც ალაპარაკდება. მისი ჩვენება ადასტურებს, რომ ეს ადამიანები იყვნენ კაციჭამიები. სასაფლაოზე საწამებლად, კაციჭამიების გარდა, საკუთარი მოქალაქეები არავის აჰყავს და ესენი იყვნენ შს სამინისტროს უმაღლესი ჩინოსნები. ეს ყველაფერი რომ ერთმანეთს შეაერთოთ, აბსოლუტურად ნათელი სურათი იქმნება, თუ ვისთან გვქონდა საქმე, თუ რა კრიმინალურ ბანდას წარმოადგენს მიხელ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა და ვის იცავს კარლ ბილდტი.

**მინდა, დავარწმუნო შაჰინი, მაკკეინი, კარლ ბილდტი, სიკორსკი და ყველა დანარჩენი, რომ სააკაშვილი აუცილებად აგებს პასუხს ქართულ პენიტენციარულ სისტემაში იმ დანაშაულებზე, რომელიც ქართველი ხალხის წინაშე აქვს ჩადენილი!**

◎ კომენტარი



## გურამ გირგვლიანი:

# დიახ, სანდროს მკვლელობის დამკვეთი იყო თაკო სალაყაია!

**ოქროყანაში მოკლული სანდრო გირგვლიანის მამა გურამ გირგვლიანი „რეპორტიორთან“ ექსკლუზიურად საუბრობს ოლეგ მელნიკოვის სკანდალურ ჩვენებაზე**

— უკვე 8 წელიდაწია, ამაზე ვსაუბრობთ. რა თქმა უნდა, ვიცოდით, რომ დაკვეთა იყო, და დიახ, დამკვეთი იყო თაკო სალაყაია! შემდეგ დათა ახალაია და ა.შ. მათ შეკრეს გარკვეული ჯგუფი, ვიცით, რა ჯგუფიც იყო, და დაავალეს პირადად ჩემი შვილის და ლევან ბუხაიძის აყვანა ოქროყანაში. დავალება მისცეს მელნიკოვს და მელნიკოვმა მიუთითა ალანიას და მის ჯგუფს, რომ ამ ორი პიროვნებისთვის „მიეხედათ“. დაკვეთა მოხდა სუფრიდან და სუფრის ყველა წევრი საქმის კურსში იყო, რა ხდებოდა. ეს ჩემთვის ცნობილი იყო. ეს იცოდა საზოგადოებამ, ეს იცოდა ხელისუფლებამ, ეს ვიცოდით ოჯახის წევრებმა!

**— უნდა დამძიმდეს თუ არა მიხეილ სააკაშვილის საქმე, რადგან მისმა გვარმა გაიჟღერა ჩვენებაში და უნდა დადგეს თუ არა დღის წესრიგში სხვა მაღალჩინოსნების საკითხი, რომელთა გვარებიც სასამართლო დარბაზში დასახელდა?**

— ბუნებრივია, უნდა დამძიმდეს კი არა, პირდაპირ უნდა დაისაჯოს! სტრასბურგის სასამართლო პირდაპირ ამბობს, რომ ზედა შტოდან მოყოლებული, ქვედა შტომდე ყველა იყო დამნაშავე! დამძიმდება, აბა არა? ყველა უნდა დაისაჯოს! ყველა უნდა დაჯდეს საბრალდებო სკამზე!

**— რატომ დაარღვია მელნიკოვმა დუმილი?**

— ჩვენ კიდევ გვაქვს პროცესები წინ, ამიტომ გამოვიყენებ დუმილის უფლებას. ამაზე არ მინდა, ვისაუბრო. მე არ ვიტყვი რომ მელნიკოვი ნამუსმა შეაწუხა. რომ შეხედავ პიროვნებას სახეზე, აშკარად ჩანს რომ მკვლელია! მისი პრინციპი ასეთია: თუ მე წავალ, ყველას გავიყოლებ უკანო!

◎ რა ხდება?!

# ციხეს რად უნდა რკინის კარები?

**პატივცემულო რედაქცია, უწინარესად მინდა გამოვეხმაურო თქვენი გაზეთის წლევანდელი 7 აგვისტოს ნომრის პათოსს და ვუერთდები მის მოთხოვნას, პასუხი ვაგებინოთ ნაციონალებს ადამიანების გაუბედურებისა და მათთვის ღირსების აყრისთვის.**

და რაკი მათი ერთ-ერთი ასეთი დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლი მეც ვიყავი, მინდა, იგი გავიხსენო.

2007 წლის 31 მარტის პროვოკაციის შედეგად (შემოსავლების სამსახურის შექმნასთან დაკავშირებით) მეწარმეთა ერთი ჯგუფი დაგვაკავეს. სცენარი ასეთი იყო: **პრეზიდენტი უნდა გამოსულიყო პარლამენტში და უნდა მოეხსენებინა** (როგორც იცოდა, თეატრალიზებულად!), **თუ როგორი კორუმპირებული იყო სისტემა და როგორ ქმნის იგი ახალს.**

ამ პროვოკაციის შედეგად (ერთი მოწმე 12 კაცზე), მეწარმეები ჯერ ცნობილი კაპეზეს ჯურღმულებში (უსინათლობაში, სარდაფში) ჩაგვყარეს, შემდეგ კი ყოფილი „ზაკვოს“ შენობაში ნიურნბერგის სასამართლოს მსგავსი რამ გამართეს.

**მეწარმეები გალიაში ჩაგვსვეს და „რუსთავი-2“-ის კამერები მოგვიშვირეს.**

**ამას გარდა „რუსთავი-2“ (კიკალიშვილი) მთელი კვირა რაღაც გამოგონილ ვერსიებს, მოგონილ ციფრებს მოახსენებდა მთელ საქართველოს, რაც ტყუილი იყო.**

**ამას გარდა ციხეში შაბათ-კვირას პროკურატურის თანამშრომლები (სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი ამას წინათ დააწინაურეს) აუქციონის პრინციპით საპროცესო გარიგებას გვთავაზობდნენ.**

**სულ არ აინტერესებდათ შენი სიმართლე!**

მიკვირს, დღევანდელი ხელისუფლება რატომ არ ინტერესდება ამ ოპერაციით, რაც ნაციონალთა ტვინებში მოიხარშა.. ნაცები კი დღეს კიდევ ბევრს ლაპარაკობენ... როგორი გადაჭარბებით სრულდებოდა ბიუჯეტი.

ამის ფონზე მ. წ. 6 აგვისტოს საკვირველებასავით ვუყურებდი კოსტიუმებსა და სმოკინგში გამოწყობილ უგულავა-მერაბიშვილის სასამართლოს. პატიმრები ერთმანეთთსაც ჩაახუტეს და დარბაზიც ტაში-ტუშით ხვდებოდა „ჩვენი დროის გმირებს“, რომლებიც მაგიდაზე მუშტებსაც აბრახუნებდნენ და სასამართლოს მიმართ პრეტენზიებსაც გამოთქვამდნენ.

**ისიც შევიტყვე, კამერაში მაცივარიც მოუთხოვიათ!**

**ვერ გავიგე, ვინ ვის ასამართლებდა!**

ერთი ძველი სიმღერისა არ იყოს, მართლაც „ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები“!

**მალხაზ დოლიძე,**

**მ. სააკაშვილის სახელობის №6 საპყრობილის ყოფილი პატიმარი, ტექნიკის-მეცნიერებათა დოქტორი, ღირსების ორდენის კავალერი, მეწარმე.**





# ჯარისკაცები მშიერნი, ჩაუცმელნი და გაუწვრთნელნი არიან

**ᲘᲛᲘᲡ მიუხედავად, რომ რუსული სამხედრო ბაზები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშია დისლოცირებული, აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრი და პრეზიდენტობის კანდიდატი მერაბ ქიშმარია მაინც ფიქრობს, რომ დე ფაქტო რეგიონებს საკუთარი ჯარი სჭირდებათ.**

**„რაც მოხდა სამხრეთ ოსეთში და როგორც მოხდა, ეს ჩვენი ტკივილიც არის. ჯარისკაცების ის რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთში იმყოფებიან, საკმარისია ამ დროისთვის, მაგრამ საქმე არა რაოდენობაში, არამედ ხარისხშია“,** — განაცხადა ქიშმარიამ და არ დააკონკრეტა, თუ რა რაოდენობის ჯარი სურთ დე ფაქტო ლიდერებს. მისი თქმით, ამას უკვე მეთაური განსაზღვრავს.

რაც შეეხება აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატ საიდ ლოლუას, იგი აცხადებს, რომ ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს აშკარა მისწრაფების გათვალისწინებით, არსებობს პირდაპირი მუქარა აფხაზეთის არსებობასთან დაკავშირებით. ამიტომ მიზანშეწონილია, მოხდეს სამხედრო თანამშრომლობის ფორმატის ადაპტირება რუსეთის ფედერაციასთან და უფრო სწრაფი ურთიერთობა.

რა პოტენციალი აქვთ აფხაზურ და ოსურ საჯარისო დანაყოფებს და რის ხარჯზე აპირებენ ისინი ჯარისკაცების რაოდენობის გაზრდას?!

სამხედრო ექსპერტი **გიორგი თავდგირიძე** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ დგება პერიოდი, როდესაც სახელმწიფოებრიობანას თამაში გარკვეულ იმედგაცრუებას იწვევს და, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ფინანსებსა და ფულზე, როგორც ჩანს, რუსი დონორები უარს აცხადებენ აფხაზების ეს მოთხოვნა დააკმაყოფილონ. დიდი ალბათობით, ეტყობა, მიმდინარეობს საუბარი, რომ ან შეუმცირდეს დაფინანსება ე.წ. აფხაზურ ჯარს, ან სრულიად გაუქმდეს აფხაზური ჯარი და რუსები თავის თავზე აიღებენ ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფოს დაცვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მერაბ ქიშმარია ამ საკითხს არ წამოსწევდა.

**„აფხაზური ჯარის და, ზოგადადად, აფხაზეთის შენახვა ძვირი უჯდება რუსეთს. თანაც, ეს ის ჯარია, რომელშიც აუცილებლად იქნება კორუფცია. ეს ჯარი უძირო ქვევრია. თუმცა, მთავარია, რომ ეს ჯარი ვერანაირად ვერ იქნება დისციპლინირებული, ეფექტური და მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი საკმაოდ დაბალია იმისთვის, რომ ბრძოლისუნარიანი ჯარი შეიქმნას. ამას სჭირდება სერიოზული სახელმწიფო, სერიოზული სოციალური და სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლითაც უზრუნველყოფენ შეიარაღებულ ძალების დისციპლინა, თავისთავად, ე.წ. აფხაზეთის სახელმწიფო, რომელსაც თავისი რესურსი არ გააჩნია, ვერ შეძლებს სერიოზული ორგანიზაციის შექმნას.**

**მეორე მხრივ, თავისი არსით, ესენი არიან შეიარაღებული ბანდფორმირებები, მიუხედავად იმისა, რას დაარქმევენ მას. ეს ბანდფორმირებები უქმნის პრობლემას თავად საოკუპაციო ძალებს, თუნდაც იმით, რომ ეს შეიძლება იყოს ახალი გარჩევების, ფიზიკური თუ პიროვნული შეურაცხყოფის საწინდარი საოკუპაციო ძალების ოჯახის წევრების მიმართ. ზოგადად, როცა სახელმწიფო ხელისუფლება ძალზე სუსტია, ბანდფორმირებები შიგნით ქმნიან დაძაბულობის კერებს, წარმოადგენენ პრივილეგირებულ, შეიარაღებულ დაჯგუფებებს და მიდრეკილი არიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისკენ.**

**ეს ყველაფერი რუსეთს აფიქრებინებს, რა მოუხერხოს ამ ქვედანაყოფს. იმ ეტაპზე, როცა პიარდებოდა აფხაზეთის „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო, როცა იყო მისი აღიარების მცდელობა, ამ ჯარის გაუქმება და ამას მოყოლილი გარკვეული პროტესტის ტალღა რუსეთს არ აწყობდა, ეს მის პროპაგანდისტულ მანქანას ზიანს მიაყენებდა. ამიტომ, პირველ ეტაპზე, გამათავისუფლებელი თუ ძლიერი მოკავშირე — აფხაზური არმია რუსეთს პროპაგანდისტული მიზნისთვის სჭირდებოდა“,** — აცხადებს გიორგი თავდგირიძე და კითხვაზე, მთლიანობაში, რამდენი ჯარისკაცი ეყოლება აფხაზეთს, განმარტავს, რომ კლასიკური პრინციპებით თუ მივუდგებით, 120 ათასამდე აფხაზს შესაძლოა, 1200 კაცი შეიარაღებული არმია ჰყავდეს და აფხაზურმა ეკონომიკამ შეიძლება ამას გაუძლოს. თუმცა, ცხინვალის რეგიონში ექსპერტი 130-კაციან არმიას ვარაუდობს. რასაკვირველია, აქ არ იგულისხმებიან ბანდფორმირებები, ვინაიდან შესაძლოა, ცხინვალის მთელი 13-ათასკაციანი დასახლება მთლიანად ბანდფორმირებად ჩამოყალიბდეს, ბავშვებისა და მოხუცების გამოკლებით, ან მათი ჩათვლით.

რაც შეეხება დაქირავებულ მებრძოლებს, გიორგი თავდგირიძე მიიჩნევს, რომ დე ფაქტო რეგიონებისთვის მათი დაქირავება აზრს კარგავს, რადგან ერთი ღირებული მებრძოლის დაქირავება თვეში 3-დან 5 ათას დოლარამდე მერყეობს, განსხვავებით, რუსეთის მოქალაქისგან, რომლის საბრძოლო ღირებულებაც საკმაოდ დაბალია, რადგან ის მოხალისეა, სხვაგან ვერ მიაგნო სამსახურს და მზად არის, მცირე ანაზღაურების საფასურად დაქირავებულ ჯგუფში იყოს და 500-დან 1000 დოლარს დათანხმდეს. თუმცა, ღირებული მებრძოლის დაქირავებაც არ არის საიმედო, რადგან გარკვეული ხნის შემდეგ გამოცდილ მებრძოლებს უკვე სხვა უხდის ფულს და ის შეიძლება მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდეს.

„ექსპერტთა კლუბის“ წარმომადგენელი **ირაკლი ცქიტიშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ სულ რაღაც ათ დღეში აფხაზეთში არჩევნებს ელიან და მერაბ ქიშმარიას განცხადებაც წინასაარჩევნო რიტორიკის ნაწილია. ცხადია, ქიშმარია საკუთარი მიმართულების გაძლიერებაზე აკეთებს აქცენტს. ეს მაშინ, როცა თავის დროზე რუსეთმა ყველაფერი იღონა საიმისოდ, რომ არც ცხინვალს და არც აფხაზეთს არ ჰყოლოდა ძლიერი ფორმირებები, ან შენაერთები. ამისთვის ამ ტერიტორიებზე განათავსა საკუთარი ნაწილები. რუსები ამით თავს იზღვევდნენ, მათ არ აწყობდათ აფხაზებისა და ოსების სამხედრო ძალა, რათა ისინი ისევ რუსებს არ დაპირისპირებოდნენ. ამიტომაც დღეს რუსები წარმოადგენენ ერთადერთ რეალურ ძალას მთელ ამ რეგიონში.

**„ქიშმარიასა და ხაჯიმბას განცხადებები წინასაარჩევნო ბლეფია. არა მგონია, არჩევნების შემდეგ ისინი აქტიურად მიუბრუნდნენ ამ ნათქვამის განხორციელებას. დღეს დე ფაქტო აფხაზეთისა და ცხინვალის ე.წ. ჯარი მხოლოდ პატარა ატრიბუტია, რომლითაც უნდათ, ვითომ სახელმწიფოებრიობა წარმოაჩინონ. რეალურად ისინი არც ძალას წარმოადგენენ, არც ორგანიზებულ შენაერთს. აფხაზური პატარა შენაერთი, რომელიც დროდადრო გადის და ვარჯიშობს რუსების ხელმძღვანელობით, არაა რეალური ძალა, აფხაზეთში ძალზე ცუდ დღეში არიან ჯარისკაცები, ჩასაცმელი, ფეხსაცმელი, საჭმელი არ გააჩნიათ. ის, რასაც რუსეთი აძლევს, მიზანმიმართული დაფინანსებაა კონკრეტული პროექტებისთვის. იმასაც უკონტროლებენ, ორ თვეში ერთხელ კრემლიდან წარმომადგენელი ჩადის და აკონტროლებს მათ ხარჯვას. ასე რომ, აფხაზური და ოსური ჯარის შექმნის რაიმე პერსპექტივას ვერ ვხედავ. მათი შენაერთების ნაწილი მაროდიორობს. ე.წ. ჯარში ძირითადად გაწვეულნი არიან ახალგაზრდები, ვინც საკონტრაქტოზეა, არავინ არ წავა აფხაზურ ან ოსურ ჯარში, პირდაპირ წავა რუსულ ჯარში, უკეთესი პირობებითა და შემოსავლით“,** — აცხადებს ირაკლი ცქიტიშვილი და მიიჩნევს, რომ, საერთოდ, ცხინვალის და აფხაზეთის საზოგადოება უკვე აღარ არის საომრად შემართული. დღეს ისინი უფრო მშვიდობიან ცხოვრებაზე არიან გადასულნი და ამ „მშვიდობიანი ცხოვრების“ ფარგლებში ზოგი მაროდიორობს, ყაჩაღობს, ახალგაზრდობის უმეტესი ნაწილი კი ნარკოტიკზეა „შემჯდარი“.

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲝᲛᲘᲐᲫᲔ**

## ალიანჩალიანი

### საქართველო UNEVOC-ს წევრი ქვეყანა გახდა

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ „ინტერპრესნიუსს“ განათლების სამინისტროდან აცნობეს, საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაციის მიზნით ქვეყანა UNEVOC-ს 11 აგვისტოდან შეუერთდა.**

**იუნესკოს საგანმანათლებლო სექტორი ხელს უწყობს განათლების, მეცნიერებისა და კულტურული ფასეულობების განვითარებას, რაც მოიცავს ტექნიკურ დახმარებას, საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას, ინოვაციური პროექტების განხორციელებას, ადამიანური რესურსის განვითარებასა და ერთიან ელექტრონულ ქსელში წევრი ქვეყნების გაერთიანებას. იუნესკოს საგანმანათლებლო სექტორის მიზანია, ხელი შეუწყოს ადამიანის ფუნდამენტალური უფლების — განათლების პოპულარიზაციას, განათლების ხარისხის განვითარებას და ინოვაციური მიდგომებისა და დიალოგის ხელშეწყობას, — აცხადებენ სამინისტროში.**

### „აწარმოე საქართველოს“ ორი საწარმო შეემატა

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მეწარმეობის განვითარების სააგენტომ, პროგრამის — „აწარმოე საქართველოში“ ფინანსური მხარდაჭერის ფარგლებში, პირველ ორ ბენეფიციართან ხელშეკრულება გააფორმა, რის შედეგადაც ორი ახალი საწარმო შეიქმნება.**

**„მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ და ბანკების მიერ ხელშეკრულება გაფორმდა კომპანიებთან — შპს „დენოლა“ და შპს „ჯი-არ-სი“. ორივე შემთხვევაში საქართველოს მეწარმეობის განვითარების სააგენტო ორი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს სესხის მთლიანი საპროცენტო განაკვეთიდან 10 პროცენტის თანადაფინანსებას.**

**„აწარმოე საქართველოში“ პროექტის ერთ-ერთ ბენეფიციარს წარმოადგენს შპს „ჯი-არ-სი“, რომელზეც ორი მილიონი დოლარის კრედიტის გაცემა უზრუნველყო „პროკრედიტბანკმა“, დათბუნებული პანელების საწარმოს მშენებლობისთვის. საწარმოს მშენებლობა გაგრძელდება 7-12 თვის განმავლობაში, სადაც დასაქმებული იქნება 25-მდე ადამიანი, ხოლო უშუალოდ საწარმოს ამუშავებისას 35-მდე კაცი დასაქმდება.**



**კომპანიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, დათბუნებული პანელების წარმოება წარმოადგენს მსოფლიოში გავრცელებულ ტექნოლოგიას და გამოირჩევა როგორც ხელმისაწვდომი ფასით, ისე — ენერგოეფექტურობით. დღეისათვის საქართველოს ბაზარზე აღნიშნული პანელების 90 პროცენტი იმპორტირებულია. შესაბამისად, კომპანია გეგმავს პროდუქციის 85 პროცენტის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვას, ხოლო 15 პროცენტის ექსპორტზე გატანას.**

**შპს „დენოლაზე“ ორი მილიონი დოლარი სესხის გაცემა „საქართველოს ბანკმა“ უზრუნველყო.**

**პროექტის ფარგლებში, მომდევნო 8 თვის განმავლობაში პარალონის საწარმო აშენდება. საწარმოს მშენებლობისას დასაქმდება 35-40 ადამიანი. საწარმოს ამუშავების შემდეგ კი — დასაქმდება სულ მცირე 50 ადამიანი.**

**როგორც ღონისძიებაზე ითქვა, პროდუქციას დამატებით ღირებულებას მატებს ის ფაქტი, რომ პარალონის შესაქმნელად გამოსაყენებელი ნედლეულით შესაძლებელია სხვა ტიპის პროდუქციის წარმოება, მათ შორის, წებოსა და ჭურჭლის სარეცხი ღრუბლის.**

**პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დღეს უკვე 10 ბენეფიციარია, რაც ნიშნავს 10 ახალ საწარმოს, ათობით ახალ სამუშაო ადგილს და ახალ პროდუქციას, რომელიც პირველ რიგში თავს დაიმკვიდრებს როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე მოხდება ექსპორტი და საერთაშორისო ბაზრების ათვისება.**

### საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს

**ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚᲘ განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ამაშუკელი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს უხელმძღვანელებს.**

**გიორგი ამაშუკელი მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორად საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანების საფუძველზე დაინიშნა.**

**გიორგი ამაშუკელი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სისტემაში 2013 წლიდან მუშაობს.**



**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორის პოზიცია მას შემდეგ გახდა ვაკანტური, რაც ყოფილი დირექტორი გიორგი სომხიშვილი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.**

№160-161. ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 2014 წელი.

**ვიდრე ინვესტორების მოლოდინზე ან კონკურენციის შესახებ მიღებული კანონის „უსაქმურობაზე“ რამეს ვიტყოდე, ჩვენებური ნაცების (იგივე „ქოცების“ და „განაცების“) ამჟამინდელი მთავრობის „საქმიანობის“ შედეგებით იმედგაცრუებაზე მინდა ვთქვა ორიოდ სიტყვა. მე რა უნდა ვთქვა, თავად არ გვასვენებენ წერას ატანილი „მიშისტები“, დღე ერთია და უთვალავჯერ გვასმენინებენ უკვე ყელში ამოსულ დემაგოგიას: ჩვენ ჯანდაბას, „ოცნების“ მთავარი ოპონენტები ვართ და როგორმე ავიტანთ მაგათ წარუმატებლობას, მაგრამ უფრო სავალალო ის არის, რომ ჩვენთან ერთად ის ხალხი მოატყუეს, რომელთაც თავიანთი არჩევანით ეგენი ხელისუფლებაში მოიყვანესო. საკუთარი პოზიცია რომ გაამართლონ, ახალი მთავრობის „უნიათობას“ და „უქნარობას“ (მათი სიტყვებია) ერთგვარად „ასაბუთებენ“ კიდეც: აი, ხედავთ, რა დღეში ჩააგდეს ქვეყანა, ჩვენს მიერ დაწყებული რევოლუციური რეფორმები შეაჩერეს, ინვესტორები მოუსავლეთში გააქციეს, ეკონომიკა გამოუვალ სტაგნაციაში ჩააგდეს, იმის მაგივრად, რომ დამშეულ ხალხს მიხედონ, პოლიტიკური ოპონენტების დევნითა და მათი საპატიმროებში გამომწყვდევით ერთობიანო.**

# ინვესტორები ვითომ „ამინდის დადგომას“ ელოდებიან?!

## კონკურენციის კანონი კი გვაქვს, მაგრამ რომ არ მუშაობს?..



**რა** სიმართლის მთესველებიც არიან მსოფლიოს მიერ აღიარებული ნაცების ლიდერები, მკითხველს ჩემზე უკეთესად მოეხსენება. ამიტომ ამჯერად მაინც მათ „ქებას“ შევეშვები და ჩვენს მიერ ნაოცნებარი ხელისუფლების ნაკეთებ საქმეებს „ჩავუღრმავდები“. თუმცა ჩაუღრმავებლადაც არავის უჭირს იმ შედეგების გაცნობიერება, რასაც ხელისუფლებაში მოსვლიდან დღემდე კოალიციური მთავრობის ნაჯაფარმა მესვეურებმა მიაღწიეს.

კოალიციური ხელისუფლების ნაღვაწის უმთავრესი შედეგი კი დღესდღეობით ის გახლავთ, რომ ქვეყანაში სტაბილურად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა გვაქვს (ამაზე მიგვანიშნებს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან ამ დღეებში აღებული 154-მილიონიანი ვალიც), პერიოდული ჩავარდნებით და გაუმჯობესებებით. მართალია ქვეყნის პირველი ფინანსისტი ნოდარ ხადური ცდილობს თავის გამოსვლებში ყოველთვის გაუმჯობესებული პარამეტრებით ისაუბროს, მაგრამ რეალობა მხოლოდ იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ 2013 წელი ყველა ეკონომიკური პარამეტრით წარუმატებლად შეფასდეს. ამის დასტურია მთლიანი შიდა პროდუქტის საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი (პროგნოზირებული 6 პროცენტის ნაცვლად 3,2 პროცენტი მივიღეთ). ქვეყნის ეკონომიკურ გუნდს იმედი ჰქონდა, რომ უცხოური ინვესტიციები მოიმატებდა, მაგრამ შარშან ამ მხრივ ვერანაირი გარღვევა ვერ მოხერხდა. მართალია, 900-მილიონიანი საინვესტიციო მაჩვენებელი წინა წლის 800 მილიონს აღემატება, მაგრამ საქართველოს წინსვლას გაცილებით მეტი სჭირდება.

**შარშან მთელი წლის მანძილზე გადასახადების მობილიზება თითქოს ურიგო არ იყო, მაგრამ საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა იმისთვის, რომ ბიუჯეტით ნაკისრი ყველა ვალდებულება შეგვესრულებინა. საერთოდ, ბიუჯეტი იყო ის აქილევსის ქუსლი (700-მილიონიანი გარღვევით), რომელმაც ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. საბიუჯეტო წლის არასწორად დაგეგმვამ და ხარჯვითი პოლიტიკის არაეფექტურად განხორციელებამ ნეგატიური ასახვა ჰპოვა ქვეყნის ეკონომიკაზე, ლარის მსყიდველობით უნარზე და სამომხმარებლო კალათის სიძვირეზე.**

ეს იყო შარშან, მაგრამ როგორია ვითარება ამჟამად? ამის თაობაზე ეკონომიკის ექსპერტები საიმედის ვერაფერს ამბობენ. მათი აზრით, ცხოვრების გაძვირების პროცესი წელსაც გრძელდება. თითქოს საბიუჯეტო შემოსავლების მხრივ არის ერთგვარი მატება, მაგრამ ეს არ იძლევა იმის გარანტიას, რომ წლის ბოლოს არ მიგვიყვანს გარკვეულ დეფიციტთან, დაუბალანსებელ ხარჯებთან და ისევ დევალვირებულ ლართან. ბერი ფიქრობს, რომ ბიუჯეტი წელსაც არასწორად დაიგეგმა, ის უფრო პოლიტიზებული დოკუმენტია, ვიდრე რაციონალურ გათვლებზე დაყრდნობილი დოკუმენტი. ამის საფუძველს იძლევა ზედმეტად სოციალურად ორიენტირებული ხარჯები, რამაც შეიძლება ვალდებულებების შესრულებაში გაუთვალისწინებელი სიძნელეები შექმნას.

ასეთ ვითარებაში რის იმედად არის კოალიციური მთავრობა და როგორ ფიქრობს ეკონომიკაში შექმნილი სიძნელეების დაძლევას? ხელისუფლების ცალკეულ ლიდერებს თუ დავუჯერებთ, ქვეყანაში მალე დაიწყება საინვესტიციო ბუმი და გაჭირვებული ეკონომიკაც უმალ ფეხზე წამოდგება. რამდენად რეალისტურია ქვეყნის ხელისუფალთა ასეთი ოპტიმიზმი?

ალბათ ის, რომ 2014 წლის პირველ ნახევარში მშპ-ს ზრდის მეტ-ნაკლებად ნორმალური მაჩვენებელი დაფიქსირდა, მაგრამ რასთან შედარებით არის ეს მაჩვენებელი გაზრდილი, არ იკითხავთ? 2013 წელთან შედარებით, როცა პრაქტიკულად ეკონომიკური ზრდა ნულის ტოლი იყო. **თუ სურს, წარმატებას მიაღწიოს, ხელისუფლება რეალურ გათვლებს უნდა დაეყრდნოს. რეალობა კი ბოლო ათწლიან მონაკვეთში ასეთია: ქვეყანაში მეტი ინვესტიცია 2007 წელს შემოვიდა — 2 მილიარდ დოლარზე მეტი. მას შემდეგ უცხოურმა დაბანდებებმა მხოლოდ ორჯერ, 2008 და 2011 წელს გადალახა მილიარდიანი ზღვარი. მთავრობის პროგნოზით, წლეულს ინვესტიციები 1-1,1 მილიარდი დოლარის ფარგლებში იქნება, თუმცა, წლის პირველი ნახევრის მონაცემები მაინცდამაინც დიდი ოპტიმიზმის საფუძველს არ იძლევა.**

აქვე ჩნდება კითხვა: საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდებით ყველაზე მეტად რომელი ქვეყნები არიან დაინტერესებულნი? რამდენიმე წელიწადია, ჩვენი ნომერ პირველი ინვესტორი ნიდერლანდებია. მაგრამ უფრო მეტად რომელ სექტორში აბანდებენ ფულს ჰოლანდიელები, არ იკითხავთ? ეკონომიკის ექსპერტ **ირაკლი ლექვინაძის** განმარტებით, ამ ქვეყანაში კაპიტალის დაბანდების ან კაპიტალის ტრანზიტისთვის ოფშორულთან მიახლოებული პირობებია. საქართველოშიც, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ჰოლანდიიდან შემოსული კაპიტალი ტრანზიტული ფულია და არა უშუალოდ ამ ქვეყნის მოქალაქეების კაპიტალი. საუბარია, ძირითადად, საფინანსო სექტორზე, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე.

ექსპერტ ლექვინაძის აზრით, ცუდია, რომ საქართველოში ინვესტიციებისათვის ყველაზე მიმზიდველ დარგში — ენერგეტიკაში ყველაზე ნაკლები უცხოური დაბანდებები შემოდის. პროექტები დაანონსებულია და არც დაინტერესებული ინვესტორების ნაკლებობაა, თუმცა, ჯერჯერობით, ძირითადი პროექტების განხორციელება ჭიანურდება. აშკარად გასათვალისწინებელია ის უარყოფითი ფონი, რაც ბოლო პერიოდში ჩვენთან ჰესების მშენებლობის საკითხის გამო შეიქმნა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ინვესტორები მოლოდინის რეჟიმში არიან — ელოდებიან მთავრობის უფრო აქტიურ გადაწყვეტილებებს სტრატეგიულ პროექტებზე.

*ხალხი ივანიშვილის მთავრობის გახელისუფლებით იმიტომ დაინტერესდა, რომ ის სამართლიანობის აღდგენასთან ერთად პირობას იძლეოდა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა მონოპოლიური ბაზრის პარპაშს, შექმნიდა ანტიმონოპოლიურ სამსამსახურს, რაც პირდაპირ კავშირშია მედიკამენტებისა და საწვავის კატასტროფულ ფასებთან და, აქედან გამომდინარე, ადამიანების ჯიბესთან. უმადურობა იქნებოდა, არ დაგვენახა გარკვეული ძვრები და სიკეთეები, რაც ქვეყანაში მოხდა, მაგრამ ეს ყველაფერი მინიმალურია და ვერ მივიდა ცალკეულ ოჯახებამდე, როგორც თავის დროზე ნაცების მიერ განხორციელებულმა რევოლუციური რეფორმების შედეგებმა ვერა და ვერ მიაღწია რიგით ადამიანებამდე. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ერთ-ერთი პირობა იყო კონკურენციის სამსახურის შექმნა, მაგრამ რად გინდა, თუ ის არ იმუშავებს?*

მაგრამ, ალბათ, უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ინვესტორები ელოდებიან „კარგი ამინდის დადგომას“ საქართველოში, ანუ ბიზნესგარემოში ისეთი პირობების შექმნას, როცა მეწარმე თავისუფალია ყოველგვარი ზეწოლისაგან და არაჯანსაღი კონკურენციისაგან. **დღეს ხელისუფლება ამბობს, რომ არ ერევა ბიზნესის საქმეში და ბიზნესი თავისუფალია. ეს აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ქვეყანაში ბიზნესი შეუფერხებლად განვითარდეს. მართალია, ხელისუფლებაში კოალიციური მთავრობის მოსვლის შემდეგ საქართველოში ბიზნესს აღარავინ აყაჩაღებს („ნაცები“ სწორედ ასეთი დაყაჩაღებებით ავსებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტსა და საკუთარ ჯიბეებს), მაგრამ აბა კარგად მიმოვიხედოთ და დავინტერესდეთ, რა ხდება რეალურად ბიზნესთან მიმართებაში? თუ დავინტერესდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ ხელისუფლება არ ატერორებს ბიზნესს, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს მისთვის სასურველ კომპანიებს. ფინანსთა სამინისტრომ ასეთი უპირატესობა მიანიჭა, მაგალითად, ერთ-ერთ გადამზიდავ კომპანია „მაელსს“ და ამით ჩაკლა დანარჩენი 43 კომპანიის საქმიანობა. ასევე მოიქცა ხელისუფლება, როცა საკანონმდებლო დონეზე „საქართველოს ფოსტას“ მიანიჭა დომინანტური საბაზრო ძალაუფლების მქონე ორგანიზაციის სტატუსი, სხვა კომპანიებს კი შეეზღუდათ საქმიანობა. არის სხვა სფეროებიც, სადაც ხელისუფლება აქტიურად ერევა ბიზნესის საქმიანობაში და სერიოზულ პრობლემებს უქმნის.**

ეკონომიკის ექსპერტი **ლევან კალანდაძე** უკმაყოფილოა ხელისუფლების ბიზნესისადმი „საზედამხედველო ლოგიკით“. **„დღეს სამინისტროებს ჰყავთ შპს-ები და სსიპები,** — ამბობს ის, — **რომლებიც პირდაპირ სამეურნეო საქმიანობას ახორციელებენ. ლტოლვილთა სამინისტრო ლტოლვილთათვის აშენებს სახლებს, ფინანსთა სამინისტროს აქვს სასათბურე მეურნეობები, სადაც ალუბალი, გარგარი და ატამი მოჰყავს. განა ეს მათი საქმეა?“** — კითხულობს სამინისტროს უჩვეულო ფუნქციებით „დაბნეული“ ექსპერტი.

ხალხი ივანიშვილის მთავრობის გახელისუფლებით იმიტომ დაინტერესდა, რომ ის სამართლიანობის აღდგენასთან ერთად პირობას იძლეოდა ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებდა მონოპოლიური ბაზრის პარპაშს, შექმნიდა ანტიმონოპოლიურ სამსამსახურს, რაც პირდაპირ კავშირშია მედიკამენტებისა და საწვავის კატასტროფულ ფასებთან და, აქედან გამომდინარე, ადამიანების ჯიბესთან. **უმადურობა იქნებოდა, არ დაგვენახა გარკვეული ძვრები და სიკეთეები, რაც ქვეყანაში მოხდა, მაგრამ ეს ყველაფერი მინიმალურია და ვერ მივიდა ცალკეულ ოჯახებამდე, როგორც თავის დროზე ნაცების მიერ განხორციელებულმა რევოლუციური რეფორმების შედეგებმა ვერა და ვერ მიაღწია რიგით ადამიანებამდე. ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ერთ-ერთი პირობა იყო კონკურენციის სამსახურის შექმნა, მაგრამ რად გინდა, თუ ის არ იმუშავებს?**

მერედა ვინ უშლით მუშაობას, იკითხავთ თქვენ, სურვილი და მონდომება თქვით, თორემ საკეთებელს რა გამოლევს ამ ქვეყანაზეო. ამას ჩვენ ვფიქრობთ ასე, გაჭირვებული ყოფიდან მაცქერალნი, მაგრამ კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელების განცხადებას თუ დავეყრდნობით, მონოპოლისტთა თვითნებობით შევიწროებული ბიზნესი მაინცდამაინც თურმე არც თუ ისე საგანგაშოდ გამოიყურება(!) ამაზეა ნათქვამი, კაცს თუ არ უნდა, რიყეზე ქვას ვერ დაინახავსო. ვერ გეტყვით, ზემოდან მაცქერალნი რამდენად იოლად ამჩნევენ მონოპოლისტთა მადით ცეცხლმოკიდებულ ფარმაცევტულ და სანავთობპროდუქტო ბაზარს, მაგრამ ამას გალატაკებული მოსახლეობის უკანასკნელი გროშები რომ ეწირება, განა ამის დანახვას გამადიდებელი სათვალე სჭირდება?!

არადა საბაზრო ეკონომიკის ლოგიკა მარტივია: მთავარია საქმიანმა ადამიანმა, სოფლად იქნება ეს თუ ქალაქად, იგრძნოს, რომ ხელისუფლება ქმნის პირობებს თავისუფალი მეწარმეობისათვის, ის ქმნის ინსტიტუციებს, ასევე გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს ნორმალური საბაზრო ეკონომიკის არსებობას. თავს ნუ მოვიტყუებთ, ჩვენთან დღესდღეობით არ შექმნილა ასეთი ეკონომიკა და თუ ასე გაგრძელდა, ის შედეგს ვერანაირად ვერასოდეს დადებს.

მაგრამ თუკი ძალაში შევა „ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ“ ხელშეკრულება ევროკავშირთან, ამ მხრივ წარმატების შანსი რამდენად გაიზრდება? ეკონომიკის ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, საქართველოში დროა დასრულდეს ნაცების მიერ დამკვიდრებული ცრუზეიმური განწყობილება და ვიფიქროთ იმაზე, როგორ შეიძლება ამ ხელშეკრულებიდან მივიღოთ მაქსიმალურად კარგი შედეგი. ამას სჭირდება მიზანმიმართული და კომპლექსურად მაღალეფექტური შრომა. **„როდესაც შენ შედიხარ განვითარებული ქვეყნების ერთ-ერთ უზარმაზარ, ყველაზე მაღალტექნოლოგიურ ბაზარზე,** — ამბობს ეკონომიკის ექსპერტი **დემურ გიორხელიძე, — მაშინ შენი მეწარმე, შენი ფერმერი დაახლოებით მაინც უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიც ოპერირებს დასავლეთ ევროპელი ფერმერი და ბიზნესმენი. ამ პირობების შექმნა, გათანაბრება, თანაბარი სამართლებრივი მდგომარეობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რომელიც წარმატებისკენ შეიძლება გადავდგათ“.**

**არ არის, ბატონებო, საქმე ისე იოლად, როგორც ზოგიერთი ფიქრობს: რაკი ხელი მოვაწერეთ ასოცირების ხელშეკრულებას, ხვალვე მდიდრები გავხდებით. დროა, ყველამ იცოდეს, რომ მხოლოდ კიტრითა და პამიდვრით, ღვინითა და ბორჯომით ვერ შევალთ ევროპულ ბაზარზე, მის დასაპყრობად გვჭირდება მაღალინტელექტუალური და მაღალმეცნიერული წარმოება, რასაც წლები დასჭირდება. არც მარტო ხელისუფლების იმედად ყოფნა ივარგებს, რასაც წლების მანძილზე მივეჩვიეთ. პირველ რიგში ჩვენ ხელისუფლების არჩევანის სწორად გაკეთება უნდა ვისწავლოთ, რომელიც ყოველთვის იმ ჩარჩოებში მოქმედებს, რასაც ამ არჩევანით დავავალებთ. დღევანდელი ხელისუფლებისთვის კი არავის არაფერი დაუვალებია, რაც მათ იმის უფლებას აძლევს, გვითხრან: რა ვქნათ, წინასწარ კი შეგპირდით, მაგრამ რაღაც შეგვეშალა და ახლა ისე აღარ გამოდის... ჰოდა, მიდი აბა პირის გატეხისთვის პასუხი აგებინე!**



**ოთარ ხუციშვილი**

რეიტინგი




# როცა „ლიდერთა“ ათეულიდან „გავარდნა“ სასიხარულოა!

## ანუ კლანური ჯგუფების დაუსრულებელი ბოგინის სავალალო შედეგები

**სხვადასხვა სახეობის კვლევებს, რომლებსაც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ავტორიტეტული სამეცნიერო თუ კომერციული ცენტრები, ათასნაირი ფონდები თუ სასწავლო ორგანიზაციები ატარებენ, არც სოციალურ გარემოზე, არც ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე რაიმე რეალური ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ, მაგრამ, ამის მიუხედავად მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ. საქმე ისაა, რომ მათ შედეგებს მრავალი პოლიტიკური თუ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებისას დიდ ყურადღებას აქცევენ. ბიზნესს, ზოგადად ეკონომიკის მაკრო და მიკრო პარამეტრებზე დამყარებული ერთი ასეთი სამუშაოს შედეგები ახლახან ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრმა „დოქტორინ ბიზნეს რევიუმ“ გამოაქვეყნა, რომელსაც „არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი 2014“ ეწოდება. მასში მსოფლიოს 178 ქვეყანაში არსებული უარყოფითი სახელმწიფოებრივი მდგომარეობის სხვადასხვა მხარეა განხილული.**

„დოქტრინ ბიზნეს რევიუს“ ცენტრის მიერ ჩატარებულ გამოკვლევას საფუძვლად უდევს მეტად ავტორიტეტული, მსოფლიოში აღიარებული ამერიკული ორგანიზაციის „ფონდ ფორ ფისისა“ და გამომცემლობა „ფორაინ ფოლიცის“ სპეციალისტების მიერ შემუშავებული „არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსის“ მრავალწლიანი კვლევის შედეგები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოთა არამდგრადობის ინდექსი თორმეტი პარამეტრის მიხედვით შეფასდა, მათ შორის, **სახელმწიფო ლეგიტიმურობის დეფიციტი,** რომელშიც სამთავრობო კორუფციისა და მთავრობაში რეპრეზენტატულობის დონეა გათვალისწინებული, რომელიც საზოგადოებრივ შეთანხმებას არღვევს; **საჯარო მომსახურების უკმარისობა** — ესაა ჯანმრთელობის, სოციალური, სანიტარიული, განათლებისა და სხვა საჯარო სერვისებით საზოგადოების უზრუნველყოფა სახელმწიფოს მხრიდან; **ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის პრინციპების დარღვევა,** ანდა არათანაბარი დაცვა სახელმწიფოს მხრიდან; **სახელმწიფო აპარატის მხრივ დარღვევები და უმოქმედობა უსაფრთხოების მხრივ,** ანუ სახელმწიფო საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის განუხორციელებლობა უსაფრთხოების სახელმწიფო სტრუქტურების მიერ; **ელიტარული კლანური ჯგუფების გავლენის დონე,** ანუ ფედერალურ და ადგილობრივ დონეებზე, საზოგადოების საზიანოდ პოლიტიკური და სხვა გავლენიანი ჯგუფების ერთმანეთის მიმართ დაპირისპირება გავლენის სფეროებისთვის ბრძოლაში; **საგარეო ჩარევები,** ანუ როდესაც სახელმწიფო თავის საერთაშორისო და შიდა ვალდებულებებს არ ასრულებს, ხოლო უცხო ძალები საგარეო თუ საშინაო საქმეებში დასახმარებლად, ანდა მანიპულირების მიზნით ერევიან; **დემოგრაფიული პრობლემების სიმწვავე** — ესაა დაავადებებისა და სტიქიურ უბედურებათა დროს სახელმწიფო სტრუქტურების მხრივ საზოგადოების დაუცველობა პოლიტიკური ნების უქონლობის ან ელემენტარული უუნარობის გამო; **ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა,** ანუ მოსახლეობის იძულებით გადაადგილებით გამოწვეული ზეწოლა საზოგადოებაზე, რომელიც პრობლემებს უქმნის სახელმწიფო მომსახურების განხორციელებასა და უსაფრთხოებას; **არათანაბარი ეკონომიკური განვითარება,** ანუ როდესაც ეკონომიკური განვითარების არაერთგვაროვნება სახელმწიფო მასშტაბით რელიგიური, ეთნიკური ან კუთხურობის ნიშნებითაა განპირობებული, ანდა ხელისუფლების უმოქმედობა განაირობებს; **საზოგადოებრივი დაძაბულობა უკმაყოფილო ჯგუფების გამო,** ანუ როდესაც სხვადასხვა საზოგადოებრივ ჯგუფში დაძაბულობისა და ძალადობის დონე იზრდება, სახელმწიფო კი ამ დროს უსაფრთხოების სათანადო დონეს ვერ უზრუნველყოფს, რის შედეგად საზოგადოებაში შიში და პანიკური განწყობები მატულობს, იზრდება ძალადობის ტალღის აგორების პერსპექტივა; **საზღვარგარეთ მოსახლეობის მიგრაცია და კვალიფიციური, პროფესიონალი მუშა-ხელის გადინების მატება,** ანუ როდესაც ადამიანები თავიანთი სამშობლოში საკუთარ ძალთა რეალიზებას ვერ ახერხებენ, საზღვარგარეთ დროებით სამუშაოდ, ანდა მუდმივად საცხოვრებლად მიდიან, რაც ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის უკმარისობას ქმნის; **ეკონომიკური ვარდნა და მოსახლეობის სიღარიბე** — ესაა სახელმწიფო სტრუქტურების უნარის დეფიციტი უზრვენველყოს საკუთარი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობისა და სოციალური ყოფის სტაბილურობა, მდიდართა და ღარიბთა ფენებს შორის არსებული მკვეთრი სოციალური დისბალანსის აღმოფხვრა, ამ განსხვავების მაქსიმალურად შემცირება.

გამოკვლევა „არამდგრადი სახელმწიფოების ინდექსი 2014“ და მის საფუძველზე შედგენილი მსოფლიოს სახელმწიფოთა, ასე ვთქვათ, „სიმყიფის რეიტინგი“, შარშანდელი წლის მანძილზე მოპოვებული მასალების ანალიზზეა დაფუძნებული. ბუნებრივია, რომ სხვებზე მეტად ჩვენ, პირველ ყოვლისა, საქართველო და ამ ტიპის მსოფლიო რეიტინგში მისი ადგილი გვაინტერესებს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ **ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოს პოზიცია ამ საკმაოდ საგულისხმო რეიტინგში საგრძნობლად გაუმჯობესდა, რაც საერთო 55-ე ადგილიდან 63-ე ადგილზე გადანაცვლებით გამოიხატა.**

უნდა ითქვას, რომ ეს ერთი შეხედვით არც თუ დიდად მნიშვნელოვანი გადაადგილება იმითაა გამორჩეული, რომ 178 ქვეყანას შორის, რომელიც „არამდგრად სახელმწიფოთა ინდექსი 20014“-შია შესული, ადგილი მხოლოდ ათმა გაიუმჯობესა.

მრავალი პოზიციით სასიკეთო ძვრის მიუხედავად, **საქართველოს ხელისუფლებისთვის საგანგაშო ნიშანი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ბოლო წლების (2005-13) მანძილზე არამდგრად სახელმწიფოთა რეიტინგში ქვეყანა კვლავაც, ასე ვთქვათ, „სახიფათო ზონაში“ იმყოფება.** ამის მიზეზი კი, უწინარესად, კლანური ჯგუფების ძალაუფლების მაღალი დონით გამოწვეული უარყოფითი გავლენაა. ამ პარამეტრით საქართველო, როგორც აღვნიშნეთ, „გავარდნის ზონაში“ იმყოფება.

ნაცმოძრაობის ხელისუფლების გაუთავებელი ბაქიბუქის მიუხედავად, კლანური ჯგუფების გავლენის მხრივ რამდენიმე წლის მანძილზე, ვიდრე 2012 წლამდე, საქართველო „ლიდერთა“ ათეულის მუდმივი წევრი იყო. ერთგვარი პოზიტიური ძვრა ამ მხრივ მხოლოდ 2013 წელს მოხდა, როცა ათეულს „გარეთ დავრჩით“ და მე-11 ადგილი მიგვიჩინეს. აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ **უახლოეს სამეზობლოში საქართველოს ამ პოზიციით ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, რომლის თანახმად, 2013 წელს „კლანური ჯგუფების ძალაუფლების გავლენის“ ინდექსი ათბალიანი სისტემით 9,5 იყო (2005 წელს იგი 7,1 იყო, 2012 წელს კი 9,4).**

**ოთარ ტურაბელიძე**

რთველი – 2014

# წლეულს შარშანდელთან შედარებით 20 პროცენტით მეტ მოსავალს ელოდებიან

**20 აგვისტოდან გურჯაანში „რთველი 2014“-ის საორგანიზაციო შტაბი გაიხსნება და რთვლის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამა კიდევ ერთხელ ამოქმედდება.**

მევინეები, „შეღავათიანი კრედიტის“ მეხუთე კომპონენტის ფარგლებში, მიიღებენ დაბალპროცენტიან სესხს, რომელსაც ყურძნის შესაძენად გამოიყენებენ. შეგახსენებთ, რომ შარშან ყურძნის ღირებულება ერთი ლარიდან იწყებოდა და 2 ლარსაც აღწევდა. გასულ კვირას გამართულ სამთავრობო სხდომაზე ისიც გახდა ცნობილი, რომ რქაწითლის ჯიშის ყურძენზე სუბსიდია 35 თეთრი იქნება, საფერავზე კი — 15 თეთრი.

ღვინის სუბსიდირების პროგრამა საქართველოში აქტიურად 2007 წლიდან დაიწყო. ახალმა ხელისუფლებამ დაწყებული საქმე განაგრძო, თუმცა, განახლებული მიდგომებით: თუ წინა პერიოდში სუბსიდირება ვაუჩერიზაციის გზით ხდებოდა და ვაუჩერი გლეხს ეძლეოდა, ახლა მოხდა საწარმოების სუბსიდირება, რათა მათ მიერ ყურძნის შესყიდვა წახალისდეს. გასულ წელს სახელმწიფომ, საბანკო სექტორთან ერთად, მეღვინეობა-მევენახეობის სექტორს 15-თვიანი შეღავათიანი, ანუ 6-პროცენტიანი სესხები შესთავაზა.

შეღავათიანი კრედიტით გაიცა 50 მილიონამდე ლარის სესხი. ხელისუფლების ინფორმაციით, ის არც ფასისა და არც შესასყიდი ყურძნის რაოდენობის განსაზღვრისას ოფიციალურად არ ჩარეულა. ამასთან, სახელმწიფოს კონტროლქვეშ არსებული კომპანიები ყურძნის ძირითადი შემსყიდველები აღარ არიან. პროგრამაში მეწარმეების ჩართვა ნებაყოფლობითია, ანაზღაურება კი ვაუჩერის გარეშე, პირდაპირ ხდება. კახეთის რეგიონში დაახლოებით 85-მა კომპანიამ მიიღო და გადაამუშავა ბოლო ათეული წლების განმავლობაში რეკორდული რაოდენობის ყურძენი — 88 742 ათასი ტონა. ერთი კილოგრამი საფერავის ფასმა 2,1 ლარს მიაღწია. 84 კომპანიიდან 82 იყო კერძო და 2 სახელმწიფო შპს „გრუზვინპრომი“ და შპს „აკურა“.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კახელმა მევენახეებმა ყურძნის რეალიზაციის შედეგად შარშან 100 მილიონ ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს, პირდაპირი შემოსავალი — დაახლოებით 17 ათასმა ადამიანმა.

რაც შეეხება წლევანდელ მოლოდინებს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით 20 პროცენტით მეტ მოსავალს ველოდებით. მნიშვნელოვნად გაზრდილია ღვინის ექსპორტიც. წელს მოთხოვნა გაიზარდა თეთრ ყურძენზე, წითელ ყურძენზე კი მოთხოვნა სავარაუდოდ, 2-ჯერ მეტია, ვიდრე მოსავალი.

მოთხოვნას, ცხადია, განაპირობებს ექსპორტის ზრდა, რომელიც 2014 წლის 7 თვეში გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად აღემატება. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2014 წლის 7 თვეში მსოფლიოს 35 ქვეყანაში ღვინის ექსპორტმა 31 მილიონზე მეტი ბოთლი შეადგინა, რაც 95 პროცენტით მეტია, წინა წლის შესაბამისი პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების პირველი ხუთეული შემდეგნაირად გამოიყურება: რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, პოლონეთი და ბელარუსი, სადაც ექსპორტის მთლიან მოცულობაში, 65 პროცენტით, რუსეთი ლიდერობს. ღვინის ექსპორტმა რუსეთში, 2014 წლის პირველი 7 თვის მონაცემებით, 20,5 მილიონ ბოთლზე მეტი შეადგინა.

რამდენად აისახება რუსეთის მიერ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების შეჩერება, ამას მომავალი გვიჩვენებს.



**გიორგი კახეთელიძე.**

## ატმის ექსპორტის მაჩვენებელმა 4 ათას ტონაზე მეტი შეადგინა

**ამის შესახებ სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.**

**მისი თქმით, აღნიშნული მაჩვენებელი თითქმის ორჯერ აღემატება 2013 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.**

**— თქვენ იცით, რომ გვქონდა „ერთი ფანჯრის„ პრინციპის მიდგომა, სადაც ადამიანს შეეძლო ყველა საჭირო დოკუმენტაციის აღება ერთ კონკრეტულ წერტილში, რამაც გაამარტივა პროცესი. ასევე დაცული იყო ყველა ის სტანდარტი და ნორმა, რომელიც შეთანხმებული იყო ქართულ და რუსულ მხარეებს შორის ფიტოსანიტარიის ნაწილში. აქ საუბარია სტანდარტებზე, რომელიც მეთოდოლოგიით იყო შეთანხმებული. ამიტომ პროცესი უხარვეზოდ წარიმართა„, - განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა.**

**მისივე თქმით, მსგავსი რაოდენობის ატმის ექსპორტი არ მომხდარა თანამედროვე ისტორიის განმავლობაში. — ამ მიმართულებით კარგი შედეგები გვაქვს, მომავალ წელსაც თუ იგივე ღონისძიებებს გავატარებთ, ეს იქნება ისეთივე წარმატებული, როგორიც მეღვინეობა, — განაცხადა ოთარ დანელიამ.**

ინტერპრესი

◉ სარედაქციო ფოსტიდან

# „კაზანტიპი“ – ელექტრონული მუსიკის ფესტივალი თუ ფესტივალს ამოფარებული გარყვნილების მარში ქართულ მიწაზე!

**„კაზანტიპი“ — ეგრეთ წოდებული ელექტრონული მუსიკის ფესტივალი რომელიც გაჟღენთილია ნარკოტიკით, სექსით, ორგიებით და ათასგვარი სიბინძურით, საქართველოში, ანაკლიაში ჩასატარებლად ემზადება!**

ჩვენს ეროვნული ტრადიციებით სავსე კოლხურ მიწაზე, იქ, სადაც ჯერ კიდევ შავები აცვიათ ომში შვილდაღუპულ ქართველ დედებს, იქ, სადაც სულ რამდენიმე ასეულ მეტრში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიაა, საიდანაც ჩვენს მიწას სისხლი სდის და ჩვენი მტრის ჯარი დგას. ამ ტაშ-ფანდურის გამართვას დავარქმევდი გარყვნილების მარშს!

ეს არის ფესტივალი, რომელზედაც ინტერნეტსივრცეში ნებისმიერს შეუძლია მოიძიოს ინფორმაცია; ეს იქნება ფოტო თუ ვიდეომასალა და თავად განსაჯოს, რა ზიანის მომტანია ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის და რა კვალი შეიძლება დატოვოს საქართველოში ჩატარების შემთხვევაში და რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ესეთი ფესტივალის ჩატარება უნდათ მარხვის პერიოდში.



გარდა ამისა, ჩემი აზრით, სრულიად ამაზრზენია, როდესაც „კაზანტიპის“ ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის ნიკიტა მარშუნოკის აზრი მის ერთ-ერთ განცხადებაში, სადაც ის ამბობს, რომ ჩვენ, თურმე, ადამიანები ამ ქვეყანაზე ყველა სექსის შედეგად გავჩნდით.

მე მინდა, მას ვუთხრა, რომ ადამიანები სიყვარულის შედეგად გავჩნდით!

მივესალმები საქართველოს განვითარებას, ეკონომიკის წინსვლას, მაგრამ არა ასეთი მეთოდებით, არა გარყვნილებიდან, არა შიშველი ადამიანებიდან და ნარკოტიკებიდან მიღებული შემოსავლებით, არამედ ისეთს, როგორიც ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს შეეფერება.

ჩვენს ქართულ კულტურას, ხელოვნებას, უდიდესი პოტენციალი აქვს ფესტივალების ჩასატარებლად არა მარტო ჩვენს მიწაზე, არამედ მთელ მსოფლიოში და სწორედ ამით უნდა იყოს ხელისუფლება დაინტერესებული და არა საქართველოში გარყვნილების შემოტანით და შემდგომ მისი დემონსტრირებით.

ქართველი ხალხი უფლისგან უზომო ნიჭით არის დაჯილდოებული, ჩვენ უამრავი ხელოვანი ადამიანი გვყავს, ადამიანები, რომელთა სულიც ღვთის სიყვარულით და მოწიწებით სავსეა, ხოლო გული — ეროვნული ქართული ფოლკლორით!

სწორედ ეს ქართული გადაარჩენს საქართველოს.

**გოგიტა ჯვებენავა,**
მხატვარი.
ქ. თბილისი

◉ კაკალ გულში

# მანიაკი მკვლელების საზიზღარი ადვოკატები

● კახეთში, სოფელ აკურაში, სტალინის ბიუსტი აღმოაჩინეს და ადგილობრივი ხელისუფლება მის, როგორც საბჭოთა სიმბოლიკის, დაუყოვნებლივ მოშორებას დაგვპირდა. სხვა ქვეყნებში თუ ანადგურებენ, მაგალითად, ჩერჩილის ან რუზველტის ბიუსტებს, როგორც ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ გადმონაშთებს?!

ვფიქრობ, დაუყოვნებლივ გასაუქმებელია ეს იდიოტური კანონი!

## წერტილოვანი ფრაზები



● ცირკთან დგომა არ აკმარეს და ახლა კაზანტიპზე გადააქვთ პრომეთეს ძეგლი.

ოლიმპოს ღმერთებს გადაგვამტერებენ ესენი.

● ირაკლი ალასანიამ, დიდგორის ომი, ე.წ. აგვისტოს ომს შეადარა.

არადა, თუ ალასანიაზე არა, დავით აღმაშენებელზე ნამდვილად უკეთესი წარმოდგენა მქონდა.

● საზამთროს არჩევა არ ვიცი. არადა, მინდა სამართლიანად შევიძინო, ანუ, რადგანაც ფულს ვიხდი, მინდა, რომ ხარისხიანი იყოს. ამიტომ, ვთხოვ ასო „სამართლიან არჩევნებს“ (ქ.-ნი ნინო ლომჯარია) დამეხმარონ ამ საკითხის მოგვარებაში.

● რაც დრო გადის, მით უფრო საზიზღრები ხდებიან მანიაკი მკვლელების ადვოკატები. არ მაქვს იმედი, რომ მათთან შეხვედრისას შევძლო გოიმობაში არჩავარდნა და მათი ხუთნომრიანი თავების არგახეთქვა.

ფერადი სათვალე ხომ არა გაქვთ ვინმეს? (სასურველია, ვარდისფერი ტონალობის).

● „ერორ“ რა პრიმატები ხართ და რა ერთუჯრედიან ელექტორატზე ხართ გათვლილი. ჯერ გადაცემა ამ ტექსტით რომ დაიწყება: რაც არ უნდა დაგვიჯდეს, დღეს ომზე ვისაუბრებთ!!! ვიიშ რა თავგანწირულნი ხართ! რაც არ უნდა დაუჯდეთ ბიჭიკოებს, მაინც ისაუბრებენ. მერე კონტექსტიდან ამოგლეჯილი ტექსტებით გრძელდება — ომი საქართველომ დაიწყოო, ხან ბიძინას, ხან კალაძეს და ხან ღარიბაშვილს გვაჩვენებენ. მერე ტყუილად დაჭერილ პოლკოვნიკსაც დაიმოწმებენ რაღაც გაურკვეველი ომის სიმართლეზე (ბუნებრივია, დაავიწყდებათ, ეს პოლკოვნიკი რა ტყუილა დაიჭირეს და რომელი მთავრობის დროს შეტენეს წესიერ კაცს სამშობლოს ღალატი). მარა სულ არ ახატია გოგოტიშვილს, რა ქათამი მსმენელი და ტაშის დამკვრელი ყავს, არ იცის თუ რა? ხო მართლა, როგორც მახსოვს მოვიგეთ, ნიღაბი ჩამოვხსენით რუსეთსო, თქვენ არ იყავით? თუ თქვენი ხატება გრძელი მიხო არ გვიმტკიცებდა, რამდენიმე ქვების გროვა სოფელი დავკარგე, ეგეთი ბევრი დაგვრჩა და რაც მთავარია, მე და ჩემი „ლომვეფხვი“ მთავრობა სკამებზე დავჩითო?

„ერორ“ — 20იანი წლების ბალშევიკების პროპაგანდას ვერ გაცდით. მომიტევეთ, მარა ძაან, ძაან, იდიოტები ხართ!

ამოკრიბა
**გია გაბრიჭიძემ**

## დედამიწის ზურგზე



**მათემატიკის დარგში ყველაზე პრესტიჟული პრემია პირველად მიიღო ქალმა**

პირველად 78 წლის განმავლობაში ფილდსის პრემია ერგო ქალს, იგი აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების სტენფორდის უნივერსიტეტის 37 წლის პროფესორი, ირანული წარმომავლობის მარიამ მირზახანი. მას იმედი აქვს, რომ მისი წარმატება შთააგონებს ახალგაზრდა ქალებს — მეცნიერებს ამგვარ შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

* * *

**იაპონიამ „მიუღებლად“ მიიჩნია რუსეთის არმიის სწავლება კურილიის კუნძულების რაიონში**



სწავლებაში, რომელიც სამშაბათს დაიწყო, ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, დაახლოებით ასი ერთეული ტექნიკა და ხუთი შვეულმფრენი მონაწილეობს. იაპონელების მხრიდან რეაქცია, რომელსაც კუნძულები სადავოდ მიაჩნია, ნაწინასწარმეტყველი იყო. ადრე იტყობინებოდნენ რუსეთის განზრახვის შესახებ ააგოს კურილიის კუნძულებზე 150-მდე სამხედრო ობიექტი.

* * *

**დანიაში 12 კაცი დაიღუპა, რომლებიც სოსისისაგან მოიწამლნენ**



სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სამინისტროს გამოკვლევის შედეგებით გასცეს განკარგულება კოპენჰაგენის გარეუბანში პატარა ხორცის საწარმოს დახურვისა და გაყიდვიდან მისი მთელი პროდუქციის ამოღების შესახებ. დადგენილია, რომ დაავადების წყარო გახდა სახიფათო ბაქტერიები — ლისტერიები, რომლებიც ხორცში აღმოაჩინეს.

* * *

**აშშ აეროპორტებში დათესავენ ველურ პრერიებს, რათა დაიცვან თვითმფრინავები ფრინველებთან შეტაკებისაგან**

როგორც ექსპერიმენტმა აჩვენა, რომელიც ოჰაიოს შტატში საერთაშორისო აეროპორტში მოაწყვეს, ავიაციის ფრენისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს დაბალ სიმაღლეებზე დიდი ფრინველები, უწინარეს ყოვლისა ველური იხვები და ბატები. ისინი არ ბუდობენ მაღალ ბალახებში: გენეტიკური მეხსიერების დონეზე მათში არის შიში ასეთი ბალახეულების წინაშე.



# 20 წელიწადი პრეზიდენტის პოსტზე



## ბატკოს ხუშტურები

**ოცი წლის წინათ, 1994 წლის ივლისის მიწურულს, ალექსანდრე ლუკაშენკო ბელარუსის პრეზიდენტი გახდა.**

„ევროპის ბოლო დიქტატორი“ — ასე უწოდებენ დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ალექსანდრე ლუკაშენკოს მმართველობის ავტორიტარული სტილისა და ოპოზიციის დევნის გამო. სამაგიეროდ, ბევრი მას პატივს სცემს იმის გამო, რომ მან ქვეყანაში წესრიგი დაამყარა, სოფლის მეურნეობა კი ხარისხიან, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციას აწარმოებს. თუმცა, ისიცაა, რომ „ბელარუსული სასწაულის“ საფუძველი, ბევრი ეკონომისტის აზრით, რუსეთული ფულითაა გამყარებული — მოსკოვმა მინსკს 80 მილიარდი დოლარის „დახმარება“ გაუწია.

## მამა და პაპა



**59 წლის ალექსანდრე ლუკაშენკოს სამი ვაჟიშვილის და შვიდი შვილიშვილი ჰყავს.** უმცროსი ვაჟი ნიკოლაი (იგი 9 წლისაა და, როგორც ამბობენ, ყოფილი პირადი ექიმისგან უკანონოდ ჰყავს) მამას მუდამ თან დაჰყავს და თავის მემკვიდრედ ზრდის.

## ორატორი

**„ბატკოდ“ (ანუ „მამილოდ“) მონათლული ბატონი ლუკაშენკო მასმედიის წარმომადგენელთა წინაშე მრავალსაათიანი გამოსვლებით და დასამახსოვრებელი ციტატებითაა ცნობილი.** მაგალითად, „მზად ვარ მუხლისჩოქით წავიდე რუსეთში“, „გპირდებით, რომ სუფრაზე ნორმაულრი ადამიანური კვერცხები გექნებათ“, „მასწავლებელს თუ



დავკარგავთ — ყოფის დღე გვეტირება, სულ გამომთვრალები და გამოშტერებულები ვივლით“, „მე ათეისტი ვარ, ოღონდ მართლმადიდებელი ათეისტი“, „არ შეუძლია ლუკაშენკოს მოპარვა, ხალხო, გაიგეთ — დასამალი ადგილიც არა მაქვს“.

## ჰოკეისტი

**პრეზიდენტის სპორტის საყვარელი სახეობაა შაიბიანი ჰოკეი.** ყინულზე იგი მუდამ №1 მაისურით გამოდის და გარემარბის პოზიციაზე თამაშობს. მისი მეცადინეობით, ბელარუსის ყველა ქალაქში პირველხარისხოვანი ჰოკეის მოედანი აშენდა. ეროვნული გუნდის წაგებას კი უკიდურესად მწვავედ აღიქვამს.

## მარშალი

**მინსკში სამხედრო აღლუმებს ლუკაშენკო სამხედრო ფორმაში გამოწყობილი იბარებს, რომელიც მარშლისას ძლიერ წააგვს, თუმცა კი თავად თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკია.** თუმცა კი, ეგეცაა, რომ მარშლისა და გენერლის წოდებები ბელარუსის შეიარაღებულ ძალებში გათვალსწინებული არ არის.

**ნინო ალექსანდრია**

№160-161. ხუთშაბათი, 14 აგვისტო, 2014 წელი.

# ნაზარეთი


ხარების ტაძარი

ნიავი ქრის თაბორის მთიდან. პაპანაქება „ილვრება“ ციდან, მაგრამ არ ცხელა, არც სიგრილეა. რაღაცნაირი სუფევს კლიმატი და ადამიანს კონდიცირებული ავტობუსით მგზავრობის ნაცვლად გასეირნება გსურს.

გორაკებს შეჰფენია ნაზარეთი. მანძილი ახლოც გეჩვენება იქამდე და შორიც. მოქარგულ ველ-მინდვრებსა და ზეგნებს უფრო ფეხით სიარული უხდება, მაგრამ ბოლომდე ვერ გარკვეულხარ, – შორია ნაზარეთამდე?

– მისტერ, რამდენი კილომეტრი იქნება ნაზარეთამდე? – ვეკითხები იქვე მდგარ ჭარმაგ არაბს.

– ათი კილომეტრია, მისტერ! – მპასუხობს გამართული ინგლისურით.

მადლობა მოვახსენე და ბილიკს დავუყევით.

ბილიკის ბოლოს კიდევ ერთი „მისტერი“ დგას. ყოველშემთხვევისათვის მასაც ვეკითხები.

– ათი კილომეტრი ყოფილა ნაზარეთამდე, მისტერ, არა?

– შვიდი კილომეტრია, ბატონო ჩემო!... – მპასუხობს ქართულად და მისი უფრო მჯერა.

ავტობუსის მძღოლს გავესაუბრე ღიმილით.

– რა ხდება კაცო?... ერთი ათ კილომეტრს მეუბნება ნაზარეთამდე, მეორე კი, შვიდს!...

მძღოლიც იღიმება და მპასუხობს:

– მიხვდებოდით, ალბათ, ერთი არაბი იყო და მეორე კი, ისრაელი... ქართულიც ამიტომ იცის იმ ისრაელმა!... მათი სოფლებიდან სხვადასხვა ბილიკი მიდის იქამდე!... ის ისრაელი ქართულ ფესვებზეა აღზრდილი, საქართველოდან!... გაუხარდებოდა ქართველები რომ განახათ!...

– პასუხი კი მითხრა, მაგრამ სალაპარაკოდ არ გამიჩერდა...გამიკვირდა!

– თქვენ ვერ შეამჩნიეთ, ალბათ, თორემ, თვალები ცრემლებით აევსებოდა და შერცხვა ცრემლებისა...

დამენანა, რატომ არ გავუჩერდი მეტხანს? შევბრუნდი იმ „ისრაელისკენ“, რომ ბოდიში მომეხადა ჩემი მიუხვედრელობის გამო.

არსად ჩანდა. უკვე წასულიყო!

მე და ჩემმა მეუღლემ, ჩემმა ქალიშვილმა იამ დავაჯერეთ თავი, – ფეხით დავყოლოდით თაბორიდან ნაზარეთისკენ მიმავალ აღმართ-დაღმართს.

– ნაზარეთში თქვენ უფრო ადრე მიხვალთ, იქამდე უფრო მოკლეზეა ბილიკი... ჩვენ მთა-გორაკებს სერპანტინებით უნდა ავუყვეთ გზატკეცილს!...-კვლავ გაიღიმილა მძღოლმა და შევატყვე, ესიამოვნა ჩვენი გადაწყვეტილება. ჩვენც ხომ იმ წმინდა წყაროსკენ მივდიოდით, სადაც ახალი აღთქმის ქადაგებით სულიწმინდისგან ჩაისახა ქალწულში და ბავშვობაც აქ გაატარა მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ.

– ნახევარ გზაზე ვიყავით შემდგარი, რომ ჩემმა უფროსმა ქალიშვილმა ნინომ დამირეკა საქართველოდან და ჩემი ერთადერთი შვილიშვილის ტიტინი დაგვაწია, – ელენიკოს ჭიკჭიკი მოგვასმენინა!

...ცა იყო მშვიდი და დედამიწა დალოცვილი. მთელი ოჯახი ერთად მივუყვებოდით აღმართს პალესტინის წმინდა წყაროსკენ.

მივუყვებოდით ქალაქის ქუჩა-ფოლორცებს და ყოველ ნაბიჯზე გამოკვეთილად ჩანდა კულტურა არაბთა და ებრაელთა. მათ ენაცვლებოდა ტურისტ-მომლოცველთა სათუთი ბაასი. ქუჩის პირს იჯდა ვიღაც ცილინდრიანი მუსიკოსი და აბრაზე ეწერა: – „ჩემთან სურათის გადაღება ერთი დოლარი!“. მაგრამ ვერავინ ვნახე, ვინმეს თავი „მოეკლა“ ამ „ბეის“ მოწოდებაზე და შეხვეწნოდა მასთან სურათის გადაღებაზე.

– აქ ბიზნესი თავისუფალია!... ვინც როგორც ახერხებს, ისე აკეთებს გროშებს!... – ჩაილაპარაკა გიდმა.

...ქუჩის ბოლოს აღმართულა გრანდიოზული ტაძარი. ყოველ ნაბიჯზე სამლოცველოა ამ ქალაქში. ზოგი არაბთა, ზოგი იუდეველთა, ზოგიც „ლათინთა“ და ზოგიც მართლმადიდებელთა.

– ბატონებო და ქალბატონებო!... თქვენს წინაშეა ხარების ტაძარი!... – საზეიმოდ გამოგვიცხადა გიდმა,- აქ ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ააგო სალოცავი მოციქულთა სწორმა წმინდა ელენემ. როგორც ბიბლია იუწყება, სწორედ აქ ეხარა წმინდა ქალწულს სულიწმინდისგან ძის ჩასახვა... ეს დღესასწაული ერთ-ერთი უდიდესია იმ თორმეტ დღესასწაულთა შორის, რომელსაც ქრისტიანული სამყარო დღესაც აღნიშნავს!... გთხოვთ, მშვიდად დაათვალიეროთ და მოილოცოთ!... ამ გუმბათ ქვეშ თქვენ იხილავთ იოსების სახელოსნოსა და საცხოვრისს. ....და ბოლოს, იმ ტაძარშიც გადაბრძანდებით, რომელიც აგებულია წმინდა ტომბაზე, საიდანაც ყოველდღე ჩამოჰქონდა წყალი ქალწულ მარიამს და სადაც ეწვია მას სულიწმინდა!...

– უკაცრავად, რა ბრძანეთ?.. „ტომბა“?... რას ნიშნავს ეს სიტყვა? – იკითხა რომელიღაც ტურისტმა.

– „ტომბა“!... გაგიგონიათ, ალბათ, „დევიდ ტომბ“, დავით მეფის საფლავი-აკლდამა!... იგი არც ერთ ენაში არ გვხვდება სხვაგან, გარდა ინგლისურისა... და ისიც იუდეიდან იღებს კვალს და ნიშნავს სიღრმეს, ღრმა წყალს, სიღრმიდან ამოსულ წყაროს, საფლავივით ღრმას!...

მომლოცველები დაუყვნენ სანახავს. გიდი განზე გადგა ცოტა ხნით.

კრძალვით მივუახლოვდი და ყურადღება ვთხოვე.

– გისმენთ, ძვირფასო!...

– თქვენ ბრძანეთ, სიტყვა „ტომბა“ არც ერთ ენაში არ გვხვდებაო... სასურველია, იცოდეთ,-ეს სიტყვა ქართულში, უფრო ზუსტად, მეგრულშიც არის შემონახული და იმასვე ნიშნავს, რასაც თქვენებურად!...

გიდს სახე გაუნათდა და უბის წიგნაკი მოიმარჯვა.

– დიდი მადლობა, მისტერ, დიდი მადლობა!... „ტომბა“, ესე იგი, ქართულადაც სიღრმეს, ღრმას, „ტომბას“, ღრმა ჭაობს, ღრმა მიწას, ღრმა წყაროს ნიშნავს!... შესანიშნავია!... მადლობელი ვარ!... ხომ შეიძლება ამის შესახებ ჩემს „კლიენტებსაც“ მოვუყვე?

– რა თქმა უნდა, ჩემო ბატონო!

ამასობაში მართლმადიდებლურ ტაძარში აღვავლენთ ლოცვებს! გონებაში კი გველაციცება ლეგენდად ქცეული სინამდვილე.

...წმინდა წყაროსთან კოკა მიედგა ასულს და სათნოებით ავსებოდა სული. ამ წყარო-ნაკადით სუნთქავდა და ცხოვრობდა ნაზარეთი.

თაბორის მთაზე ნათლით მოსილი ღვთიური ღრუბელი წამოიმართა. ცა გაიხსნა და ქვეყანა პირმშოს მომლოდინე ცირას დაემსგავსა. მზე იღიმებოდა და მიწაზე მადლი იფრქვეოდა. არავის შეუმჩნევია თაბორზე ნათელი. მარიამი იყო ერთადერთი, რომელსაც ერგო მისი ხილვის ბედნიერება. მუხლებზე დაცემული ქალწული შეჰყურებდა სასწაულს და ანაზდად ბავშვობის სახებამ გადაურბინა თვალწინ:

...მოხდა სასწაული და მთის ფერდობს შეფენილ ნაზარეთში უნაყოფო მშობლებისგან იშვა მარიამი. მამა, მართალი იოაკიმე და დედა, ღვთისმოსავი ანა, სიმართლითა და ღვთის მადლით ცხოვრობდნენ ამ ქვეყანაზე. ორივეს დიდი დავითის შთამომავლობაში ედგათ ფესვები.

უშვილობა უბედობად ითვლებოდა იუდეაში. დავითის მოდგმა მესიას ელოდებოდა თავისი გვარეულობიდან და ყოველ შვილს იმედით უცდიდა. ამ ლოდინში ემატებოდათ წლები და ხანში შედიოდნენ იოაკიმე და ანა. 50 წელიწადი მარხვით, ლოცვითა და ქველმოქმედებით აგრძელებდნენ ცხოვრებას. ყოველ დღესასწაულზე, სამი თუ ოთხი დღის სავალზე, ნაზარეთიდან იერუსალიმში დადიოდნენ სალოცავად.

ერთხელ, იერუსალიმის მღვდელმთავარმა იოაკიმესაგან ძღვენი არ მიიღო და უშვილობა დააყვედრა.

„უფალმა რაღაც საიდუმლო ცოდვისა გამო მოგაკლო კურთხევა!...“

მძიმე იყო იოაკიმესათვის ასეთი საყვედურის მოსმენა. ადგა და წავიდა უდაბნოში. 40 დღე და 40 ღამე ლოცულობდა და ტიროდა მართალი მოხუცი უდაბნოსა შინა. შესთხოვდა უფალს, რომ ამ მოხუცებულობის ჟამს მაინც, მისთვისაც შვილი ებოძა...

ნაზარეთში კი, უნუგეშოდ ტიროდა ანაც და მეზობლებისაგან განრიდებული, ბაღში დაფნის ბუჩქებს აფარებდა თავს. ერთხელ, როცა ლოცულობდა, მაღლა აღაპყრო მზერა და დაფნის ტოტებში ბუდე იხილა, რომელშიც უსუსური ბარტყები ისხდნენ.

– „...ამ ქვეყნად უბედური მხოლოდ მე ვარ! ცაში ჩიტებსაც და დედამიწაზე მხეცებსაც ნაყოფიერება მიეცი, უფალო. შენი მადლით მიწა-ქიანაც აღმოაცენებს თესლს... ყველაფერი ეს შენი კურთხევით ხდება... მეც გადმომხედე უფალო, და ისმინე ჩემი ვედრება!...“

მოულოდნელად, მის წინაშე ღვთის ანგელოზი დაბრძანდა და ღაღადჰყო:

– „... ანა, უფალმა ისმინა შენი ვედრება!... წადი იერუსალიმს და ოქროს კარიბჭესთან შეხვდი შენს ქმარს!... ისიც უდაბნოდან მოვა იქ!...

...და იშვა, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ ნაზარეთსა შინა, მარიამი, რომელსაც ეწოდა იმედის ქალბატონი.

ექვსი თვის მარიამი დედამ მიწაზე დასვა. უცბად, ბავშვი ფეხზე წამოდგა, შვიდი ნაბიჯი გადადგა და დედის კალთას აეკრა. ბედნიერად გაოცებულმა დედამ ბავშვი ხელში აიყვანა და აღთქმა დადო, – ვიდრე უფლის ტაძრამდე არ მიიყვანდა, ჩვილს მიწაზე არ დაადგმევინებდა ფეხს!

ერთი წლის მარიამს მისმა „ოქროს მშობლებმა“ დიდი ლხინი მოუწყვეს. სამი წლისა ტაძრად მიიყვანეს და, ახლა, მღვდელმთავარმა მარიამი გულში ჩაიკრა!

...და ცხოვრობდა მარიამი ტაძარში, ვითარცა მტრედი და ანგელოზთა ხელით იღებდა საზრდოს!

...თორმეტი წლისა საპატრონოდ დანიშნეს უკვე ხანში შესულ იოსებზე !...

იდგა ასული და ცას შეჰყურებდა მოწიწებული.

...ამ ფიქრთა ზღვაში დაცურავდა ნაზარეთის წმინდა წყაროსთან გარინდებული მარიამი, როცა მოხდა უფრორე სასწაული სასწაულთა შორის:

მოევლინა მარიამს ზეციური ხმა მთავარანგელოზისა გაბრიელისა:

– „გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანაა! კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის! სული წმინდა მოვიდეს შენზედ და ძალი მაღლისა გფარავდეს შენ ამისათვისა და შენგან შობილს ეწოდოს ძე ღვთისა!“ (ლუკა. 1.28. 35.).

ანგელოზებმა იოსებსაც აუწყეს ქვეყნიერების სიხარული, – მარიამს სულიწმინდისაგან ეღირსებოდა იესო-იეშუას, მობრძანება!

...და აღსრულდა ნაბრძანები ცათა, – სამყაროს მოევლინა მაცხოვარი ჩვენი! ...ოღონდ ეს მოხდა ბეთლემს, მარიამის ბაბათში!

...ახლა ჩვენც იქითკენ გვიდევს გზა!

...მაგრამ მანამდე გველოდება პირველ სასწაულთა ადგილი, – კანა და კაპერნაუმი!...

...და გველოდება იორდანე, მდინარე, რომელშიც ნათელ იღო მაცხოვარმა!...

**ზაურ ფიფია.**
**წმინდა მიწა. 2014 წელი.**
**ფოტოები ია ფიფიასი.**


ქუჩის მუსიკოსი

**დასასრული. დასაწყისი იხ. № 154-157**

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. სენაკი, მ. ლეინჯილიას ქ. №8, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 095 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. სენაკი, მ. ლეინჯილიას ქ. №8 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 35 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 3,5 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 207 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 2 555 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. ინგირის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 83 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 8.3 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/შეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 217 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის |

| | | |
|---|---|---|
| | თარიღი | 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №3** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. ქუთაისი, ნიკეას ქუჩა |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 118 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 11,8 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 224 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №16**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია, მდ. რიონზე „რიონის" (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 81 900 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 10 982 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 1 098,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 2 396 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №17**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით.<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დუზაგრამის მიმდებარე ტერიტორია, „დუზაგრამის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მისაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 22 200 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. დუზაგრამის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 609 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 360.9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 922 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 2 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №18**

| | | |
|---|---|---|
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; |

| | | |
|---|---|---|
| | | ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი;<br>ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) უნდა განხორციელდეს ჭაბურღილიდან შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 950 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. თბილისი, სარაჯიშვილის გამზირის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 320 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 32,0 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 264 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 15 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №19**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) ექსპლუატაციის პროცესში მოხსნილი ნიადაგის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის<br>ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ენგურზე „რუხის" (I და II უბანი) ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 39 000 მ³). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. რუხის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 5 936 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 593,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 387 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 3 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

**ობიექტი №20**

| | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 204 559 691 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57 |
| 3 | ელ–ფოსტა | Licenziebi@yahoo.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; |
| | | ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი ჰერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება;<br>ზ) სანიტარული ნორმების დაცვის მიზნით უნდა განხორციელდეს ობიექტის (ჭაბურღილის) შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქ. გორის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 1 825 მ³/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქ. გორის ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 59 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 5,9 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 212 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 14 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 15 სექტემბერს დღის 18.00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

ჭადრაკი

# ქალებს „ბრინჯაოს“ შანსი დარჩათ

**მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ბოლოსწინა მეათე ტურში საქართველოს ქალთა ნაკრებმა პოლონელებს სძლია 3:1 (ნანა ძაგნიძე — მონიკა სოჩკო 1:0, იოლანტა ზავადსკა — ბელა ხოტენაშვილი 0:1, სალომე მელია — კარინა პოროვსკა 0,5:0,5, მარტა ბართელი — ნინო ბაციაშვილი 0,5:0,5). რუსეთის** გარეთი, ყაზახეთი, სომხეთი — 15-15 ქულა. სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს ნაკრებს მესამე ადგილზე გასვლის შანსი დარჩა. **მე-11 ტურში ითამაშებენ:** რუსეთი — ბულგარეთი, უკრაინა — ჩინეთი, საქართველო — გერმანია, სომხეთი — ესპანეთი, ყაზახეთი — ჩეხეთი.



ნანა ძაგნიძე: 9-დან 8 ქულა!

**ნაკრები, რომელმაც ოლიმპიადაზე ზედიზედ 9 შეხვედრა მოიგო, უკრაინასთან დამარცხდა 1,5:2,5 (ანა მუზიჩუკი — კატერინა ლაგნო 0,5:0,5, ვალენტინა გუნინა — მარია მუზიჩუკი 0,5:0,5, ანა უშენინა — ალექსანდრა კოსტენიუკი 0,5:0,5, ოლგა გირია — ნატალია ჟუკოვა 0:1). ჩინეთი — ესპანეთი 2:2, გერმანია-რუმინეთი 2,5:1.5, ყაზახეთი — საფრანგეთი 3:1, სლოვაკეთი — ბულგარეთი 1,5:2,5, ხორვატეთი — სომხეთი 1,5:2,5.**

**10 ტურის შემდეგ:** რუსეთი — 18, ჩინეთი, უკრაინა — 17-17, გერმანია-16, საქართველო, ესპანეთი, ბულ-

სამწუხაროდ, მე-10 ტურში ჩვენმა ვაჟებმა კუბის ნაკრებს სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 0,5:3,5 წააგეს (ლეინერ პერეს დომინგესი — ბაადურ ჯობავა 0,5:0,5, ლევან ფანცულაია — ლაზარო ბატისტა ბრუსონი 0:1, რეინალდო სუარეს ორტიზი — გაიოზ ნიგალიძე 1:0, კონსტანტინე შანავა-იური ვილად გონსალესი 0:1), საფრანგეთი — ჩინეთი 1,5:2,5, უკრაინა — აზერბაიჯანი 2:2, ხორვატეთი-ნორვეგია 3,5:0,5, უნგრეთი — რუმინეთი 3:1, ბულგარეთი — პოლონეთი 1,5:2,5, აშშ-არგენტინა 2,5:1,5, სერბეთი — რუსეთი 1,5:2,5.

**10 ტურის შემდეგ:** ჩინეთი — 17, უნგრეთი — 16, 8 გუნდს 15-15 ქულა აქვს. საქართველოს 12 ქულით 44-ე ადგილი უკავია. **ბოლო ტურში მედლების ბედს გადაწყვეტს შემდეგი შეხვედრები:** პოლონეთი-ჩინეთი, უნგრეთი — უკრაინა, რუსეთი — საფრანგეთი, აზერბაიჯანი — აშშ, ინდოეთი — უზბეკეთი. საქართველო მე-11 ტურის შეხვედრას სლოვენიასთან გამართავს.

64-უჯრიან დაფებზე გამართული პაექრობების გარდა ტრომსოში სხვა საინტერესო ამბებიც ხდება: როგორც ამას წინათ ვწერდით, ფიდეს გენერალურ ასამბლეაზე ამ ორგანიზაციის პრეზიდენტად ისევ კირსან ილუმჟინოვი აირჩიეს, ხოლო ოთხი წლის განმავლობაში ევროპის საჭადრაკო კავშირს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი გაუძღვება.

ტრომსოში 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძლობის უფლების მოსაპოვებლად გუშინ ფიდეს გენერალურ ასამბლეაზე საქართველომ და სამხრეთი აფრიკის რესპუბლიკამ წარადგინეს თავიანთი კანდიდატურები. ერთი დღით ადრე იქაურ ქართულ სახლში „ბათუმი-2018“-ის პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც დაესწრნენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, მინისტრის მოადგილე აკაკი ლოდია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის არჩილ ხაბაძის ხელმძღვანელობით, ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი, ევროპის საჭადრაკო კავშირის თავკაცი ზურაბ აზმაიფარაშვილი, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გია გიორგაძე, ეროვნული საჭადრაკო ფედერაციების წარმომადგენლები და ფიდეს გენერალური ასამბლეის დელეგატები, სულ 250-მდე ადამიანი.

**ლექსო ცინცაძე**

კრივი

# ორნი – ნახევარფინალში

**ბულგარეთის დედაქალაქი სოფია ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე მოკრივეთა კონტინენტის პირველობას მასპინძლობს. შეჯიბრებაში 7 ჩვენებური ჩაება. ორმა მათგანმა ნახევარფინალში ასპარეზობის უფლება და, სულ მცირე, ბრინჯაოს მედლები დაიბევა.** 60 კილოში ოთარ ერანოსიანმა მასპინძელი ელიან დიმიტროვი დაჯაბნა, ხოლო 91 კილოში ლევან გულედანმა სლოვაკ ერიკ ტლკანეჩს აჯობა. სამწუხაროდ, მე-2 წრეში დამარცხდა ნიკოლოზ სეხნიაშვილი (81) ირლანდიელ ო,ნილთან. ასპარეზობას პირველსავე წრეში გამოეთიშნენ ირაკლი მელიქიშვილი (64) და ზაალ კვაჭატაძე (69).



ორ წონაში ჩვენმა მოკრივეებმა — 75 კილოში გოჩა ბადურაშვილმა (მაიკლ ო რეილის შეხვდა) და მძიმე წონაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ (იგი ხორვატ მარინ მინდოლიევიჩს დაუპირისპირდა) გუშინ გვიან ღამით იასპარეზეს.

**გივი გაგუა**

მადლობა

# ყოველი დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება

**ამას წინათ მეგობრის რჩევით ქარელის ხანდაზმულთა შვების სახლში დავისვენე, რომელიც ინტერნაციონალურმა ჰისფონდმა დააარსა და პროფესორი ნოდარ ნადირაშვილი ხელმძღვანელობს. ხანდაზმულთა პროფილაქტიკური მკურნალობისა და აქტიური დასვენებისთვის აქ ყველა პირობაა შექმნილი. ყოველი დილა გამამხნევებელი ვარჯიშით იწყება, რომელსაც ოფისმენეჯერი მარინე აბაიძე და ექიმი გიორგი კაპანაძე უძღვებიან. დამსვენებელთა განკარგულებაშია თანამედროვე ტრენაჟორებით აღჭურვილი სასპორტო დარბაზი. ხშირად ეწყობა როგორც შეჯიბრებები ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთსა და სპორტის სხვა სახეობებში, ისე მიზნობრივი ექსკურსიები. მალე აქ ბალნეოლოგიური მკურნალობის ცენტრი გაიხსნება. დიდი ხანია, საქართველოში ჩემთვის ისეთი შთაბეჭდილება არაფერს მოუხდენია, როგორც შვების სახლს.**



როგორც „საქართველოს რესპუბლიკის“ აქტიურმა მკითხველმა, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით შვების სახლის მესვეურებსა და თანამშრომლებს — ნოდარ და ციალა ნადირაშვილებს, მარინე აბაიძეს, გიორგი კაპანაძეს, მანანა კაბულაშვილს, ზინა ელიაშვილს, ცისმარი ღონღაძეს, ნათელა აივაზოვს, აკაკი სიხაშვილს ხანდაზმულთა მიმართ გამოჩენილი ყურადღებისა და უანგარო სამსახურისთვის დამსვენებელთა სახელით მადლობა გადავუხადო.

**მურმან ტყებუჩავა,**
**აფხაზეთიდან დევნილი**

ფეხბურთი

# ევროპის სუპერთასი მადრიდის „რეალმა“ მოიგო

**უელსში, კარდიფის „კარდიფ სთედიუმზე“ სეზონის პირველი დიდი მატჩი გაიმართა: ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა მადრიდის „რეალმა“ უეფას ევროპალიგის ტრიუმფატორი „სევილია“ 2:0 დაამარცხა და მეორედ მოიგო კონტინენტის სუპერთასი.**

ორივე გოლი მსოფლიოს 2013 წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა კრიშტიანუ რონალდუმ შეაგდო: 30-ე წუთზე გარეთ ბეილის ბრწყინვალე პასის შემდეგ გახსნა ანგარიში, 49-ე წუთზე კი დუბლი მიითვალა.

„სეზონის გამარჯვებით დაწყება შესანიშნავია. ჩვენ წელს დიდი მიზნები გვაქვს და ვიმედოვნებ ყველაფერი „რეალისთვის“ სასიკეთოდ წარიმართება. თამაშით და ახალწვეულებით კმაყოფილი ვარ, თუმცა ვიცი, რომ ჩემს გუნდს მეტი შეუძლია“, — განაცხადა „რეალის“ იტალიელმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ, რომელმაც ევროპის სუპერთასი სამწვრთნელო კარიერაში მესამედ მოიგო. ამ გამარჯვებით ის ხოსეპ გვარდიოლას გაუთანაბრდა.




„რეალი“ — „სევილიას“ დაპირისპირებას 30854 მაყურებელი დაესწრო. მას შემდეგ, რაც ევროპის სუპერთასის მფლობელი მხოლოდ ერთი მატჩით ირკვევა, ეს რეკორდია.

შეგახსენებთ, რომ გაისად ევროპის სუპერთასი თბილისში, „დინამო არენაზე“ გათამაშდება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის და „დინამო არენას“ წარმომადგენლები საქმიანი ვიზიტით უელსში იმყოფებოდნენ და განვლილ მატჩსაც დაესწრნენ.

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# „ნოლეს“ სარეკორდო შანსი

**რეიტინგსიის პირველი ნომერი ნოვაკ ჯოკოვიჩი ცინცინატის** Western & Southern Open**-ის ტურნირში ჩაება და თუკი ამ ასპარეზობის მოგება მოახაერხა, ერთადერთი ჩოგბურთელი გახდება, რომელსაც „მასტერზ 1000“-ის ყველა შეჯიბრებაზე ექნება გამარჯვება მოპოვებული. არადა, უწინ „ნოლემ“ ოთხჯერ ითამაშა ამ ტურნირის ფინალში და საბოლოო წარმატებას ჯერჯერობით ვერ მიაღწია. წლევანდელი შეჯიბრება ჯოკოვიჩმა ფრანგი ჟილ სიმონის 6:3, 4:6, 6:4 დამარცხებით დაიწყო.**

ფრანგულ-სერბული დაპირისპირება 2 საათსა და 10 წუთს გაგრძელდა. 27 წლის ჯოკოვიჩმა 4 ბრეიკი და 7 ეისი შეასრულა, 2 წლით უფროს სიმონთან პირადი შეხვედრების ანგარიში კი 8:1 გახადა. მერვედფინალში ნოვაკი ამერიკელი სემ კუერისა და ესპანელ ტომი რობრედოს შორის მოგებულს შეხვდება.



„ამ ტურნირის მოგება ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია. ოთხჯერ დავმარცხდი ფინალში, თანაც იმ მატჩების მოგების შანსი თითქმის არ მქონდა. იმედია, ამჯერად წინ წავიწევ, მიუხედავად იმისა, ბოლო თვის განმავლობაში ჩემ ცხოვრებაში ბევრი მნიშვნელოვანი რამ რომ მოხდა“, — განაცხადა ჯოკოვიჩმა სასტარტო გამარჯვების შემდეგ.

**კობა კობახიძე**

კალათბურთი




# მსოფლიოზე – ჯინობილის გარეშე

**ცნობილი გახდა არგენტინის საკალათბურთო ნაკრების საბოლოო შემადგენლობა, რომელიც 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს.**

**მცველები:** პაბლო პრიჯიონი („ნიუ იორკი“), ფაკუნდო კამპაცო („პენიაროლი“), ნიკოლას ლაპროვიტოლა („ფლამენგო“), სელემ საფარი („ბოკა ხუნიორსი“).

**ფორვარდები:** ლუის სკოლა („ინდიანა“), მარკოს მატა („ფრანჩა“), ანდრეს ნოჩიონი („რეალი“), ვალტერ ჰერმანი („ფლამენგო“), ლეონარდო გუტიერესი („პენიაროლი“), ტაიავეკ გალიცი („კილმესი“).

**ცენტრები:** მატიას ბორტოლინი („რეგატას კორიენტესი“), მარკოს დელია („ობრას სანიტარიასი“).

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს არგენტინელთა უმთავრესი ვარსკვლავი მანუ ჯინობილი, რომელიც „სან ანტონიოში“ გატარებული მძიმე სეზონის შემდეგ რეაბილიტაციას საჭიროებს.

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატი 30 აგვისტოდან 14 სექტემბრამდე ესპანეთში ჩატარდება, არგენტინელთა მეტოქეები კი ჯგუფში ხორვატეთი, საბერძნეთი, ფილიპინები, პუერტო-რიკო და სენეგალი იქნებიან.

**ვიტალი ჯაფარიძე**

## ◉ ვულოცავთ კოლეგებს!

# სიმართლე, მხოლოდ სიმართლე!..




### გაზეთი „წყალტუბო“ 75 წლისა გამხდარა!

**ამდენი ნაირ-ნაირი ჟურნალ-გაზეთის რია-რიაში „წყალტუბო“ (75 წლის წინათ, „ახალ წყალტუბოდ“ რომ დაიბადა, ჩემთვის უძვირფასეს გამოცემად რჩება, რადგან მისი, უკვე გაყვითლებული ფურცლებიდან, ჩემი ყმაწვილკაცობა ილანდება, ჩემი რამდენიმე ბავშვურად გულუბრყვილო ლექსი თუ ჩანახატია დაბეჭდილი „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორის, სულგანათლებული დავით გაბრიაძის მიერ. ეს ნომრები ჩემი რელიკვიაა...** როგორც ყველა რესპუბლიკური თუ რაიონული გაზეთი, „ახალი წყალტუბოც“ ემსახურებოდა საბჭოთა საქართველოს, აშუქებდა საბჭოეთის სიდიადეს, რისთვისაც პარტია და მთავრობა „ზურგს უმაგრებდა“, მაგრამ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში თავისუფალ პრესას, რა თქმა უნდა, არსებობა გაუჭირდა და, ეტყობა, უფრო და უფრო უჭირს, რადგან უამრავი ტელეარხისა და ინტერნეტის პირობებში, ძალიან მოაკლდა მკითხველი, ანუ გამსაღებელი. ჰოდა, რა ქნას ასეთ სიტუაციაში 75 წლის გაზეთმა „წყალტუბომ“ და მისმა მთავარმა რედაქტორმა, ჩემი სიყრმის მეგობარმა, თანასოფლელმა (მაღლაკელები ვართ), შესანიშნავმა ჟურნალისტმა და პოეტმა **მურთაზ კანკაძემ?..** როგორც მურთაზი ამბობს, გაზეთმა კვლავაც და კვლავაც უნდა განაგრძოს სიმართლის მსახურება, წინა პლანზე წამოსწიოს უამრავი პრობლემა, რაც კურორტ წყალტუბოსა და მის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების მოსახლეობას აწუხებს...

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! სიმართლის თქმა ძნელია, მაგრამ აუცილებელია, მეტადრე, დღევანდელი საქართველოს პირობებში!

მაშ, სიმართლის გზით ევლოს და ხანი არ დატყობოდეს „ახალ წყალტუბოს“!

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ულოცავს მას ღირსშესანიშნავ საიუბილეო თარიღს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ◉ პროტესტი

### მშენებელთა მიერ მოტყუებული მოქალაქეები სამინისტროში შეჭრას ცდილობდნენ

**გუშინ ეკონომიკის სამინისტროსთან ხმაური იყო. რამდენიმე მოქალაქე ეკონომიკის სამინისტროში შეჭრას ცდილობდა, თუმცა, დაცვამ ამის საშუალება არ მისცა.**

**როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, ისინი ვარკეთილში, ერთ-ერთ კორპუსში არსებული ბინების დაკანონებას ითხოვენ. მათი განცხადებით, ვარკეთილში 1989 წელს უნდა აშენებულიყო 16-სართულიანი კორპუსი, თუმცა, 5 სართული აშენდა, მათ ფული სრულად აქვთ გადახდილი და წლებია, ელოდებიან კორპუსში შესვლას.**

**აქციის მონაწილეების ინფორმაციით, აღნიშნული კორპუსი ამჟამად ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა და ამჟამად დევნილები ცხოვრობენ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, ეკონომიკის სამინისტრო მათ დაპირდა, რომ ბინებს დაუკანონებდა, თუმცა, უწყება ამ პირობას არ ასრულებს.**

**— იძულებულები ვართ, მივიდეთ და ცეცხლი წავუკიდოთ იმ კორპუსს, — აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.**



## ◉ ბოლო მოვუღოთ ვანდალთა პარპაშს!

# გორელებმა რაღა დააშავეს?!.

**ყველას მოგეხსენებათ, ყოველივე ეროვნულის მოძულე „ნაცბანდამ“ როგორ გადაიტანა დედაქალაქის შუაგულიდან მეტად შეუფერებელ ადგილზე დიდი დავით აღმაშენებლის ძეგლი და მის ადგილზე უსახური, ყოველგვარ იდეას მოკლებული ველოსიპედი წამოჭიმა.** აგვისტოს ომის დროს, როგორ ევედრებოდნენ თავიანთ „ღმერთს“, ერთი ჭურვი მაინც რომ მოხვედროდა იოსებ სტალინის ძეგლს და ახალ დიქტატორს საბაბი ჰქონოდა დიდი ბელადის მონუმენტის,ვითომდა მტრის ხელით განადგურებულის დემონტაჟისა. ბოლოს, საწადელს მაინც მიაღწიეს და ღამით თავიანთი ზონდერების საშუალებით ძეგლი აიღეს. ასევე მოიქცნენ კახეთშიც — ბელადის ძეგლი საღებავით წაბილწეს ვანდალებმა, მაგრამ ორიოდე დღის წინ ბელადის ბიუსტი პირვანდელი სახით მაინც დაუბრუნდა კვარცხლბეკს. გორელებმა რაღა დააშავეს?!



წლეულს, როდესაც დეკემბერში იოსებ სტალინის დაბადების 135 წლისთავი სრულდება, უპრიანი იქნება, ახალმა ხელისუფლებამ გორში კვლავ მიუჩინოს ბელადის ძეგლს პირვანდელი ადგილი. ამით პატივს მივაგებთ არამარტო დიდ წინაპარს, არამედ მეორე მსოფლიო ომში ასიათასობით დაღუპულ ქართველსაც, აღმოვფხვრით ვანდალი ნაციონალების ბოროტებას.

დიდი სტალინი არამარტო ჩვენი, არამედ მსოფლიო პოლიტიკის უდიდესი წარმომადგენელია.

ბოლო მოვუღოთ ძეგლმოძულე ვანდალების პარპაშს!

**პატივისცემით**
**თენგიზ თომაძე,**
**საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.**

**ომარ მარგველაშვილი გულისტკივილით აცნობებს ქართველ საზოგადოებრიობას, რომ ქალაქ ტორონტოში (კანადა) გარდაიცვალა მისი მეგობარი, საქართველოსა და ქართველ ხალხზე უზომოდ შეყვარებული, კეთილშობილი, გულისხმიერი და ღირსეული პიროვნება**

**ომარ სეფიაშვილი (საფირი)**

**და თანაგრძნობასა და თანადგომას უცხადებს ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.**

## ◉ იურიდიული კონსულტაცია

**რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი. ტელ: 595 05 11 77; 593 35 99 09.**

**კითხვა: იქნებ მაცნობოთ, რამდენ დღეშია ვალდებული სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული სამსახური განიხილოს პენსიის დანიშვნის საკითხი?**

**ოთარ მორგოშია**

**პასუხი:** „სახელმწიფო პენსიების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის შესაბამისად, პენსიის დანიშვნის საკითხი სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულმა სამსახურმა უნდა განიხილოს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენიდან არა უგვიანეს 10 დღის ვადაში. აქვე გაცნობებთ, რომ შეზღუდული შესაძლებლობისა და საპენსიო ასაკის გამო, პენსია ინიშნება განცხადებისა და ყველა საჭირო საბუთის წარდგენის დღიდან.

* * *

**კითხვა: ვარ 13 წლის; 1 თვის წინათ გარდამეცვალა დედა, რომელსაც შრომის სტაჟი არ ჰქონდა (იყო დიასახლისი). მეზობელმა მითხრა, პენსია გეკუთვნისო, მაგრამ მამაჩემს ჯერ საბუთები არ წარუდგენია, მგონი, უსტაჟოდ არ ინიშნებაო. ბებიამ მირჩია, თქვენთვის მომემართა. გთხოვთ, მაცნობოთ, მეკუთვნის თუ არა პენსია დედის გარდაცვალების გამო?**

**თამუნა ქოროღლიშვილი**

**პასუხი:** დედის გარდაცვალების გამო პენსია ყველა შემთხვევაში გეკუთვნით. გირჩევთ, მამამ ან თქვენმა რომელიმე ახლობელმა, აღნიშნულ საკითხზე დაუყოვნებლივ მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასწრაფოდ მიმართვას იმიტომ გირჩევთ, რომ თუ თქვენი დედის გარდაცვალებიდან 3 თვის ვადაში მოხდება აღნიშნული ორგანოსთვის მიმართვა, პენსია მარჩენალის გარდაცვალების დღიდან დაგენიშნებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის დღიდან.

* * *

**კითხვა: იქნებ ამიხსნათ, რა საბუთების წარდგენაა საჭირო ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირისთვის საქართველოში პენსიის დასანიშნად.**

**პაატა ჩახმახჩიანი**

**პასუხი:** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ სამსახურს უნდა წარუდგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

* * *

**კითხვა: რა შემთხვევაში შეიძლება ჩემი კუთვნილი პენსია ბინაზე მომიტანონ? ვარ I ჯგუფის ინვალიდი, არ მყავს კანონით ვალდებული მარჩენალი და მიჭირს ყოველთვიურად ბანკში მისვლა.**

**ლილი ლალიაშვილი**

**პასუხი:** პენსიონერისთვის პენსიის ბინაზე მიტანა ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, პენსიონერის წერილობითი განცხადების საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ პირობები, რომლებიც თქვენს შეკითხვაშია მითითებული, საკმარისია იმისთვის, რომ პენსია ბინაზე მოგიტანონ. აღნიშნულ საკითხზე საჭიროა მიმართოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს თქვენი რაიონის სამსახურს.

* * *

**კითხვა: ვარ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. დანიშნული მაქვს სახელმწიფო აკადემიური სტიპენდია. სექტემბერში ვხდები 65 წლის, მინდა, დავინიშნო 36 წლის სტაჟით კუთვნილი ასაკის პენსიაც — თვეში 150 ლარი. ხომ მაქვს ამის უფლება?**

**ლევან ამილახვარი**

**პასუხი:** სამწუხაროდ, არ გაქვთ, ვინაიდან მოქმედი კანონის შესაბამისად, როცა პიროვნებას ერთდროულად აქვს სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების უფლება, ენიშნება ერთ-ერთი, რომელიც მისთვის უფრო ხელსაყრელია. ერთდროულად 2 სახის სახელმწიფო სარგებლის მიღება კანონით დაუშვებელია.

* * *

**კითხვა: დანიშნული მაქვს სახელმწიფო კომპენსაცია. მომეცემა თუ არა იგი საჯარო სამსახურში მუშაობის დაწყების შემთხვევაში?**

**კაპიტონ ოთარაშვილი**

**პასუხი:** არა, არ მოგეცემათ: პირს, რომელსაც დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, მისი მიღება უწყდება საჯარო საქმიანობის დაწყების დღიდან, მისი განხორციელების მთელ პერიოდში.

## ◉ ინფორმაცია

# დედოფლისწყაროობა - 2014

**უკვე მეორე წელია გალა-კონცერტით აღინიშნება სახალხო დღესასწაული — დედოფლისწყაროობა.**

**ტრადიციად იქცა საპატიო მოქალაქეებისა და წარმატებული დედოფლისწყაროელების არჩევა. წლეულს დედოფლისწყაროობაზე მონაწილეობდნენ ლადო ათანელი, თემურ წიკლაური, სოფო ბედია, ტატო გოდერძიშვილი, თამუნა ალადაშვილი, „ქუჩის ბიჭები“ და სხვები.**

საპატიო დედოფლისწყაროელი მოქალაქის წოდება მიენიჭა მსოფლიო ბარიტონს ჩვენს თანამემამულეს ლადო ათანელს, „ეტალონის“ წამყვანს გოჩა ტყეშელაშვილს, ბიზნესმენს ედუარდ ჩოუშიანს და დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს.

მათ სპეციალური დიპლომები და სამახსოვრო სუვენირები გადასცა კახეთის გუბერნატორმა ირაკლი შიოლაშვილმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა.

დაჯილდოებულთა სახელით მადლობა გადაიხადა ლადო ათანელმა და აღნიშნა, რომ მშობლიურ რაიონში მიღებული ჯილდო ყველა საერთაშორისო ჯილდოზე უფრო ძვირფასია და მას ეს ემოციური დღე არასოდეს დაავიწყდება.

**ნანა ჭიჭინაძე**

რეკლამა
299-62-77;
568 82-09-84.

## ◉ სტიქია

# ხაშურის რაიონში ზარალს ითვლიან

**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ქვიშხეთსა და ბულბულისწყაროში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში ჩაერთო.**

**ძლიერი წვიმის შედეგად მომხდარმა წყალდიდობამ მდინარე შოლას ადიდება გამოიწვია, რამაც ადგილობრივების საცხოვრებელი სახლები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დააზიანა. ასევე, სოფელ ბულბულისწყაროში წაღებულია ხიდი, რომლის აღსადგენადაც სამუშაოები უკვე დაიწყო.**



# მსოფლიოს 7 ყველაზე ძვირადღირებული უნივერსიტეტი

## ამ უნივერსიტეტებში მოხვედრა ადვილი არ არის, სწავლა კი უფრო რთულია

**მსოფლიოს 7 ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის სიაში, ერთ-ერთი მოწინავე პოზიცია კემბრიჯს უკავია. ამ უნივერსიტეტიდან გამოსულთა შორის 81 ნობელის პრემიის ლაურეატია *(დასაწყისი იხ. „სრ“ №159).***

### 5. იელის უნივერსიტეტი



იელის უნივერსიტეტის კამპუსი ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმტაცია აშშ-ში. XIX საუკუნის ნაგებობები გოთურ სტილშია აშენებული, მოჩუქურთმებული თაღებითა და კოლონებით.

სწავლების საფასური აქ დაახლოებით 40500 დოლარია წელიწადში.

### 6. ოქსფორდის უნივერსიტეტი

უნივერსიტეტის დაფუძნების ზუსტი თარიღი არ არსებობს, თუმცა, მის ფესვებს მე-11 საუკუნისკენ



მივყავართ. საუნივერსიტეტო ქალაქი მინი სახელმწიფოს წააგავს, ათეულობით კოლეჯითა და შვიდი „ჰოლით“, თითოეულ მათგანს საკუთარი რექტორი ჰყავს. ერთსა და იმავე წელს განცხადების შეტანა ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში სასტიკად აკრძალულია.

პრაქტიკულად, ყველა შენობა, რომელიც ოქსფორდის ტერიტორიაზე მდებარეობს ისტორიის ნაწილს წარმოადგენს. სწავლის საფასური აქ სპეციალობაზეა დამოკიდებული, საშუალოდ კი 14000 დოლარს შეადგენს წელიწადში.

### 7. კოლუმბიის უნივერსიტეტი

იგი კუნძულ მანჰეტენზე, ნიუ-ორკში, 6 კვარტლის მაძილზე მდებარეობს და აქ სწავლა წელიწადში 45000 დოლარი ჯდება. კოლუმბიის უნივერსიტეტის ელიტარულობაზე ისიც მეტყველებს, რომ კურსდამთავრებულთა სიაში შედის - აშშ-ის 3 პრეზიდენტი, ორი ათეული მილიარდელი და 25 მფლობელი ოსკარის ქანდაკებისა.

ცნობილი კურსდამთავრებულები: ფრანკლინ დე-



ლანო რუზველტი, უორენ ბაფეტი, ჯერომ სელინჯერი, ბარაკ ობამა, კეტრინ ბიგელოუ.

სწორედ ამ უნივერისტეტში გამოიგონეს პირველი FM-რადიო და facebook-ის წინამორბედი – Campus Network.


საქართველო ტრადიციული მედიცინის სამშობლოა

**ისარგებლეთ საუკუნეების მანძილზე გამოცდილი ბუნებრივი წამლებით**

**„ფერდის“ და „სალხინოს“ კომპლექსური გამოყენება**



კლინიკური კვლევების საფუძველზე რეკომენდებულია **„ფერდის“ და „სალხინოს“** ერთობლივი გამოყენება ქიმიოთერაპიის გვერდითი მოვლენების აღმოსაფხვრელად. გააჩნიათ ძლიერი ანტიოქსიდანტური და იმუნომოდულატორული თვისებები. გამოიყენება ტუბერკულოზის რეზისტენტული ფორმების დროს, ასევე ენდომეტრიოზის, ჰეპატიტის, ნეფრიტის და კუჭ-ნაწლავის დაავადებების მკურნალობაში.

პირველი 6-7 დღე ინიშნება **„ფერდის“ და „სალხინოს“** კაფსულა 3-ჯერ დღეში ერთდროულად, თითოეული კაფსულის მიღებისას აუცილებელია 200 მლ-მდე წლის მიყოლება. მომდევნო პერიოდში – 2 კაფსულა „ფერდი“ და 1 კაფსულა „სალხინო“ 3-ჯერ დღეში ერთდროულად, დამატებით 2 კაფსულა „ფერდი“ ძილის წინ, მიღების დროს ყველა შემთხვევაში აუცილებელია წყლის მიყოლება. პაციენტი შვებას გრძნობს 10-15 დღის შემდეგ, მკურნალობა გრძელდება 5-6 თვე ან საბოლოო გამოჯანმრთელებამდე.

**„ფერდი“ და „სალხინო“** იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge


**◉ კრიმინალი**

### ამოღებულია დიდი რაოდენობით ჰეროინი

შსს-ს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს პაატა ჩ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ქუთაისში დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 37 შეკვრად დაფასოებული 13,039 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით, 6,21982 გრ ჰეროინს შეიცავს.

ნარკოლოგიური შემოწმებით, პაატა ჩ-ს ოპიუმის ჯგუფის ნარკოტიკების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

ინტერპრესი

**◉ ინფორმაცია**

### დაიწყო ახალი სანომრე ნიშნების დაჯავშნა

შსს-ს ინფორმაციით, ახალი დიზაინის სანომრე ნიშნის მსურველ ყველა მოქალაქეს 2014 წლის 14 აგვისტოდან შესაძლებლობა ექნება სასურველი სერია და ციფრები წინასწარ დაჯავშნოს.

თავისუფალი სანომრე ნიშნის მოძიება და დაჯავშნა შესაძლებელია ქვეყნის მასშტაბით, მომსახურების სააგენტოს ყველა რეგიონულ განყოფილებაში და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდის (www.sagency.ge) საშუალებით.

მომსახურების სააგენტოს ვებ-გვერდზე დარეგისტრირების შემდეგ (www.sagency.ge) დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ, მოიძიონ სასურველი სანომრე ნიშანი და სურვილის შემთხვევაში წინასწარ დაჯავშნონ. სანომრე ნიშნის ვებ-გვერდის საშუალებით დაჯავშნა შესაძლებელია როგორც საკუთარ, ისე სხვა პირის სახელზე – მისი პირადი მონაცემების მითითებით.

არსებული დიზაინის სანომრე ნიშნების შეცვლა სავალდებულო არ არის და მათი მოქმედების ვადაა 2020 წლის 1 სექტემბერის ჩათვლით.

**◉ კადრი**



**◉ ცინცხალი ანეკდოტები**

**ორი კოლეგა მეგობარი ხვდება ერთმანეთს შვებულების შემდეგ:**

**– როგორ დაისვენე, პეტკა?**

**– ეჰ, ძალიან ძვირიანი დასვენება გამომივიდა, ორ მილიონზე მეტი დამიჯდა.**

**– რას ამბობ! ალბათ სუპერლუქს ნომრებში ისვენებდი, ძვირფასიან რესტორნებში დადიოდი...**

**– რა ლუქსი, რის რესტორნები? სანამ აგარაკზე ვიყავით, ჩვენი ბინა პირწმინდად გაუძარცვიათ...**

* * *

**– ბი, ხომ ხედავთ, როგორი კარგი ფერი გადევთ და წონაშიც როგორ მოიმატეთ მას მერე, რაც ჩემს რჩევას, რომ უნდა მოგეწიათ მხოლოდ ჭამის შემდეგ და თანაც მხოლოდ თითო ღერი სიგარეტი, ყური ათხოვეთ.**



**– სხვანაირად როგორ იქნებოდა! ახლა ხომ დღეში ათჯერ ვჭამ...**

**– მე წერომ მომიყვანა!**

**– მე ინტერნეტიდან გადმომქაჩეს!**

**– აი, მე კომბოსტოში მიპოვეს...**

**– ჩვენ კი... ჩვენ კი ღარიბი ოჯახი გვაქვს და ყველაფერს მამაჩემი აკეთებს.**

* * *

**– ოი, მაპატიეთ, – შეაჩერა აფთიაქარმა მამაკაცი, – მე თქვენთვის კალციუმქლორიდის ნაცვლად შეცდომით ციანის მჟავა მომიცია.**

**– მერე რა ვქნა?**

**– რა და, ორი მანეთი დამიმატეთ.**

* * *

**– ალო, რას ნიშნავს თქვენი „ბარტერული“ გადახდა? – რეკავს მამაკაცი საროსკიპოში.**

**– აქ გაუგებარი არაფერია. ჯერ თქვენ ერთობით ჩვენს გოგონებთან, მერე კი ჩვენი დაცვის ბიჭები გაერთობიან თქვენთან.**

* * *

**– გოგონი, რას აკეთებთ ამ საღამოს?**

**– არაფერს. და რაშია საქმე?**

**– რაში და, მე თქვენს ადგილას სპორტდარბაზში წავიდოდი.**


ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორის მაგიერ
სპარტაკ ქობულია
299-62-77;
599 36 00 35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 599 568186
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24